„ვადინაფედას მარგალური ნინა!
ვადინაფედას მამანტი ძაძამიაში ნინა!“
ზურაბ კვარაცხელია

სამცაცხვი

„როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა!“
რაფიელ ერისთავი

ლიტერატურული გაზეთ „ნოჯიხურის“ სპეციალური დანართი №2, სურწყუნისი, 2017

დღეს, 9 თებერვალს, 40 დღე სრულდება ნანაში ნინაში დუდმენცარიში, მეგრული ენის ჭეშმარიტად დიდი მოამაგის, მისი დიდი მესაიდუმლისა და ჭირისუფლის, დიდი კოლხი ენათმეცნიერის, სამეგრელოსა და სრულიად საქართველოს დიდი გულშემატკივრის, საზოგადო მოღვაწის, გულანთებული მამულიშვილის, ნაღდი წალენჯიხელის — მამანტი ბესარიონის ძე ძაძამიას გარდაცვალებიდან.

* * *

მამანტი ძაძამია ბესარიონიში სქუაქ დებად 1940 წანაში 29 მესეფც წენდიხაში რაიონიში ოფუტე ენწერც. რდგ გაჩინებული მენცარი, აკადემიკოსი, პროფესორი, კოლხური კულტურული მოკვიდრებაში დოგურაფაში დო დაცვაში ასოციაციაში პრეზიდენტი, საქორთუოში სამენცარო აკადემიაში „აია“-ში პრეზიდენტი (უკული — საპატიო პრეზიდენტი). რდგ ართართი ეშმანწყუალი ზიტყვაში გორჩქინუში დო მენცარული მარგალური ნინაში დოგურაფაში.

მამანტი ძაძამია რდგ საქორთუოში 8 სამენცარო აკადემიაში წევრი, აკადემიკოსი დო 5 უნივერსიტეტიში საპატიო პროფესორი.

მამანტი ბესარიონის ძე ძაძამია

(მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები)

მამანტი ძაძამია დაიბადა 1940 წლის 29 მაისს წალენჯიხის რაიონის სოფელ ეწერში.

მამანტი ძაძამიამ წარჩინებით დაამთავრა: 1958 წელს — კალისტრატე ნესტორის ძე შეროზიას სახელობის წალენჯიხის საშუალო სკოლა, 1965 წელს — საქართველოს სუბტროპიკული ფაკულტეტი, 1984 წელს — საქართველოს სახალხო მეურნეობის ეკონომიკის მართვის ინსტიტუტი, 1989 წელს — საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის მართვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა.

მამანტი ძაძამია სხვადასხვა დროს მუშაობდა; მშობლიური სოფლის კოლმეურნეობაში ფიზიკურად (VI 1958 — IX 1963 წ.), წალენჯიხის რაიაბრეშუმის უბნის აგრონომად (IX 1961 — XII 1962 წ.), საქართველოს კომკავშირის ზუგდიდის რაიკომის ინსტრუქტორად (IX-XI 1963 წ.), საქართველოს კომკავშირის წალენჯიხის რაიკომის პირველ მდივნად (XII 1963 — XII 1970 წ.), წალენჯიხის რაიონის სოფელ ჩქვალერის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ (XII 1970 — V 1974 წ.), წალენჯიხის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილედ და მთავარ აგრონომად (V 1974 — IX 1977 წ.), საქართველოს კომპარტიის წალენჯიხის რაიკომის საერთო განყოფილების გამგედ (IX 1977 — X 1980 წ.), წალენჯიხის რაიონის აგრო-სამრეწველო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ (X 1980 — VI 1982 წ.), საქართველოს კომპარტიის წალენჯიხის რაიკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ (VI 1982 — X 1986 წ.), სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის წალენჯიხის რაიკომის მდივნად (X 1986 — X 1989 წ.), პროფკავშირთა გაერთიანების წალენჯიხის რაიონული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ (X 1989 — XI 1991 წ.), ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის უფროს მეცნიერმუშაკად (XI 1993 — X 1994 წ.), ამავე უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დოცენტად (X 1994 — X 1995 წ.), და პროფესორად (X 1995 — XI 1997 წ.), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის დოცენტად, კონსულტანტად, პროფესორად (IX 1996 — VII 2005 წ.), გალის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის, შემდგომში უნივერსიტეტის პროფესორად (IX 1996 — VII 2005 წ.), თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის, შემდგომში თბილისის ევროპული უნივერსიტეტის წალენჯიხის ფილიალის პროფესორად და პრორექტორად სამეცნიერო დარგში. მრავალჯერ იყო არჩეული საქართველოს კომკავშირის ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრად, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად, საქართველოს კომპარტიის წალენჯიხის რაიკომისა და ბიუროს წევრად, მშრომელთა დეპუტატების წალენჯიხის რაიონული და ჯვარის საქალაქო საბჭოების დეპუტატად. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რაიონულ საბჭოს და მის მიერვე

→ 2

პირველი გვერდიდან



შექმნილ მრავალდარგოვან სახალხო უნივერსიტეტს. ყველგან, სადაც კი უმუშავნია, თავისი ნიჭიერებით, უანგარობითა და ორგანიზატორული უნარით, მუდამ აღწევდა მაღალ წარმატებებს და იმსახურებდა ადამიანების სიყვარულსა დ პატივისცემას. ამ თანამდებობებზე მუშაობის პერიოდში გამოვლენილმა სიკეთემ, სიმართლის მოყვარეობამ, პრინციპულობამ და პატიოსნებამ მას უამრავი კეთილის მსურველი და მეგობარი შესძინა. მამანტი ძაძამიამ თავისი პრინციპულობა და უზადო პატიოსნება არ გაცვალა პრივილეგიებსა და ჩინმედლებზე და, საბოლოოდ, დაკარგა რა რწმენა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი, დატოვა ჯერ პარტიული სამუშაო და მერე (1988 წ.) თვით პარტიის რიგები. ქვეყნად ეროვნული მოძრაობის გაშლის პერიოდში იგი ერთ-ერთი პირველთაგანი დადგა პატრიოტთა გვერდით და აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, რის გამოც მისი და, ოჯახის წევრების სიცოცხლე არაერთხელ აღმოჩნდა ხიფათში...

მამანტი ძაძამია ახალგაზრდობიდანვე იჩენდა დაინტერესებას მეცნიერების სხვადასხვა დარგში. მას გააჩნია მაღალტიტულოვანი სპეციალისტების მიერ სადისერტაციო დონის შესატყვისად შეფასებული სამეცნიერო ნაშრომები: 1. აგროქიმიაში: „კირისა დ მინერალური სასუქების გავლენა სიმინდის მოსავლიანობაზე ეწერმიწა ნიადაგების პირობებში“ (ხელმძღვანელი, პროფესორი გიორგი გოლეთიანი), 2. ისტორიასა და ეთნოგრაფიაში: „წალენჯიხის რაიონის ისტორია“; „სამეგრელოს ეთნოგრაფია“ (რეცენზენტები: პროფესორი კლიმენტი შელია და პროფესორი ვალერიან ითონიშვილი), 3. სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში: „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობების პირობებში“ (სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი, პროფესორი ომარ ვაშაკიძე) და ენათმეცნიერებაში, რაც საბოლოოდ, მისი განსაკუთრებული დაინტერესების საგანი გახდა.

მამანტი ძაძამიას, თანაავტორ ქალიშვილთან — ცირა ძაძამიასთან ერთად, გააჩნია 3600-მდე, გამოქვეყნებული თუ ჯერაც გამოუქვეყნებელი, საენათმეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 16 მონოგრაფია, აქედან: 11 ერთტომეული, 2 ორტომეული, 1 სამტომეული, 1 შვიდტომეული, 1 ოცტომეული და 1 მრავალათასტომეული. მათი კვლევის ძირითადი საკითხია ენის წარმოშობის საფუძვლები, საერთოდ ენის ფენომენი.

მამანტი ძაძამია ბოლო 15 წლის განმავლობაში, ვიდრე პენსიაზე გასვლამდე, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. მას, ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა, ჯერ უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის (1993 წ.), შემდეგ დოცენტის (1994 წ.), და ბოლოს, პროფესორის (1995 წ.) წოდებანი და შესაბამისი თანამდებობანიც. 1996 წელს მას ირჩევენ აგრეთვე გალის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის, შემდგომში უნივერსიტეტის პროფესორად, 2002 წლიდან მუშაობდა თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის, შემდგომში „თბილისის ევროპული უნივერსიტეტის“ წალენჯიხის ფილიალის პროფესორად და პრორექტორად სამეცნიერო დარგში. 2005 წელს არჩეულ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის საპატიო პროფესორად. 10 წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს აქვე: მათ შორის, 7 წლის განმავლობაში ასწავლიდა სტუდენტ-ახალგაზრდობას, ფაკულტატურულად, მის მიერ (თანაავტორ ქალიშვილ ცირა ძაძამიასთან ერთად) ენათმეცნიერებისათვის შეთავაზებულ ახალ დარგს „სიტყვათწარმომავლობის საფუძვლები,“ იგივე, „ენის წარმოშობის საფუძვლები“.

მამანტი ძაძამია 1997 წლიდან არის საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 2003 წლიდან — კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციისა და მასთან არსებული აკადემია „აიას“-ს პრეზიდენტი, ხოლო შემდგომში, 2007 წლიდან — საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს პრეზიდენტი, 2005 წლიდან — საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობთა აკადემიის, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, 2010 წლიდან — საქართველოს ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, 2011 წლიდან — საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ აკადემიკოსი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და ამავე აკადემიასთან არსებული დიმიტრი გულიას სახელობის ისტორიის, ენისა დ ლიტერატურის ინსტიტუტის საპატიო პროფესორი.

ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს მამანტი ძაძამიას დამსახურებაზე მეცნიერების დარგში და მის აღიარებაზე ჭეშმარიტი მეცნიერების მიერ.

მამანტი ძაძამია დაჯილდოებულია მედლებით, საპატიო და ქების სიგელებით, „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით; არის უფროსი ლეიტენანტი და შრომის ვეტერანი.

მართალი სიტყვა, სინდისი და პატიოსნება, — ესაა მამანტი ძაძამიას ცხოვრების კრედო.



მამანტი ძაძამიას მეუღლე — ელეონორა მებონია სპეციალობით პედაგოგია. შვილები — ცირა, ირინე, ია და ბესარიონ (ბესიკი) ძაძამიები სხვადასხვა უნივერსიტეტისა და მაგისტრატურის წარჩინებით კურსდამთავრებულები არიან და კვლავაც იმაღლებენ კვალიფიკაციას მეცნიერების სხვადასხვა დარგში. მათ შორის, ცირა ძაძამია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორია და არის საქართველოს „ფაზისის“ მეცნიერებათა აკადემიის, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა მეცნიერებათა აკადემია „ქალდეა“-ს, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს აკადემიკოსი, მათ შორის, საქართველოს მეცნიერებათ აკადემია „აიას“-ს ვიცე-პრეზიდენტი. იგი, ამავე დროს, არის თბილისის ევროპულ უნივერსიტეტთან არსებული წალენჯიხის კოლეჯისა და ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული დ.ი. გულიას სახელობის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის პროფესორი. ია ძაძამია არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აიას“-ს აკადემიკოსი და საბუნებისმეტყველო განყოფილების გამგე. ბესარიონ ძაძამია — ამავე აკადემიის აკადემიკოსი და სწავლული მდივანი, მეუღლე ელეონორა მებონია — ამავე აკადემიის აკადემიკოსი. მამანტი ძაძამიას ხელმძღვანელობით მოქმედი საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აიას“-ს 75 ნამდვილი წევრიდან (აკადემიკოსიდან), 52 მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და სხვადასხვა მეცნიერებათა აკადემიის წევრია, 4 მათგანი სხვადასხვა აკადემიის პრეზიდენტია, 3 წევრი მოღვაწეობს ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა უნივერსიტეტში, 5 კი თურქეთში მოღვაწელაზია (ქართველია). სამომავლოდ ეს აკადემია საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიად ქცევას იზრახავს.

საენათმეცნიერო ნაშრომთა ჩამონათვალი:

მამანტი ძაძამიას, მისივე ქალიშვილ ცირა ძაძამიასა და ოჯახის წევრ თანაავტორებთან ერთად, შექმნილი აქვს 3600-მდე საენათმეცნიერო ნაშრომი. ისინი ეძღვნება ენის წარმოშობის საკითხის, და, საერთოდ ენის ფენომენის შესწავლას. ეს ნაშრომები ძირითადში წარმოდგენილია 16 დიდი მონოგრაფიის სახით. მათ შორისაა 11 ერთტომეული, 2 ორტომეული, 1 სამტომეული, 1 შვიდტომეული, 1 ოცტომეული და 1 მრავალათასტომეული (სავარაუდოდ, 25 000 — ტომეული). „სავარაუდოდ“ იმიტომ, რომ მასზე მუშაობა ჯერაც გრძელდება.

აი, ამ ნაშრომების ჩამონათვალიც:

1. მამანტი ძაძამია, „მეგრული დიალექტი“, I, II, თბ., 1991 წ.

2. მამანტი ძაძამია, ცირა ძაძამია, „ენის წარმოშობის საიდუმლოება“, ზუგდიდი, 1997 წ.

3. ცირა ძაძამია, „ჷ ბგერა და მისი ფუნქციები მეგრულში“, ხელნაწერი, 1999 წ.

4. მამანტი ძაძამია, ცირა ძაძამია, სიტყვათწარმომავლობა — ენის წარმოშობის საფუძველი“, ზუგდიდი-სენაკი, 2003 წ.

5. ცირა ძაძამია, „მეგრული ტექსტები“, 2006 წ. წიგნად გამოიცა 2015 წ.

6. მამანტი ძაძამია, ცირა ძაძამია, ვლადიმერ ვახანია, „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“, თბ., 2007 წ.

7. მამანტი ძაძამია, ცირა ძაძამია, „ეტიმოლოგიური ძიებანი მეგრულ ენაში“, ორტომეული, ხელნაწერი, 2007 წ.

8. მამანტი ძაძამია, ცირა ძაძამია, „მსოფლიოს ენების ერთიანი გლოტოგონიური საფუძველი და გენეტიკური მონათესავეობა“, ხელნაწერი, 2008 წ.

9. მამანტი ძაძამია, ცირა ძაძამია, „მოსფლიოს ენების აფიქსების, საერთოდ საგრამატიკო საშუალებების და მეტყველების ცალკეული ნაწილების ერთიანი წარმომავლობა“, ხელნაწერი, 2010 წ.

10. მამანტი ძაძამია, ცირა ძაძამია, „მეგრული ენა (ლექსიკოლოგია, ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, სიტყვათწარმომავლობა)“, ერთტომეული, კომპიუტერული ამონაბეჭდი და კომპიუტერული ვერსია, 2011 წ.

11. მამანტი ძაძამია, ცირა ძაძამია, „საინტერესო მონაცემები ცალკეულ საენათმეცნიერო და ზოგადსამეცნიერო საკითხებზე ზოგადსაკაცობრიო პრობლემათა ჭრილში (ფაქტები, ჰიპოთეზები, დასკვნები)“, სამტომეული, ხელნაწერი, 2010 წ.

12. ცირა ძაძამია, „ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი მეგრულში“, სადისერტაციო ნაშრომი, 2006 წ. გამოც. მოსკოვი, 2013 წ.

13. მამანტი ძაძამია, ცირა ძაძამია, ირინე ძაძამია, ია ძაძამია, ბესარიონ ძაძამია, ელეონორა მებონია-ძაძამია, ირაკლი ხაჭაპურიძე, „მეგრული ენა — ენის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ცოცხალი მატიანე“, ოცტომეული, კომპიუტერული ამონაბეჭდი და კომპიუტერული ვერსია, 2013-2014 წწ.

14. მამანტი ძაძამია, ცირა ძაძამია, ირინე ძაძამია, ია ძაძამია, ბესარიონ ძაძამია, ელეონორა მებონია-ძაძამია, ირაკლი ხაჭაპურიძე, მარიამ ხაჭაპურიძე, ლუკა ხაჭაპურიძე, ქრისტინე ხაჭაპურიძე, „მეგრული ენის (კერძოდ, ზმნური ფონდის) კომპიუტერული ლექსიკონის მრავალათასტომეულის (სავარაუდოდ, 25 000-ტომეულის) პირველი ათასტომეული“ (მისი კომპიუტერული ვერსია) და ტიპური მაგალითი შვიდ ტომად, კომპიუტერული ამონაბეჭდი და კომპიუტერული ვერსია, 2014 წ.

15. მამანტი ძაძამია, ცირა ძაძამია, ირინე ძაძამია, ია ძაძამია, ბესარიონ ძაძამია, ირაკლი ხაჭაპურიძე, ოცტომეული, „მეგრული ენა — ენის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ცოცხალი მატიანე“, კომპიუტერული ვერსია და ამონაბეჭდი, 2014 წ.

16. მამანტი ძაძამია, ცირა ძაძამია, „ჭეშმარიტება და მხოლოდ ჭეშმარიტება“, თბ., 2014 წ.

17. მამანტი ძაძამია, ცირა ძაძამია, ირინე ძაძამია, ია ძაძამია, ბესარიონ ძაძამია, ელეონორა მებონია-ძაძამია, ირაკლი ხაჭაპურიძე, მარიამ ხაჭაპურიძე, ლუკა ხაჭაპურიძე, ქრისტინე ხაჭაპურიძე, „მეგრული ენის კომპიუტერული ლექსიკონის მრავალათასტომეული“ (სავარაუდოდ, 25 000-ტომეული); მისი პირველი ათასტომეულის კომპიუტერული ვერსია და სანიმუშო ტიპური მაგალითის წარმომდგენი შვიდი ტომის ამონაბეჭდი, 2014 — ... წ.

ძვირფასო საზოგადოებავ!

ყველა თქვენგანი აქ მოვიდა დღეს იმისათვის, რომ გამოეთხოვოს ამ არაჩვეულებრივ ადამიანს და ორიოდე სიტყვა ვუთხრათ მას, ვინც ამ ქვეყნიდან მიდის, მას, ვინც ასე დაშვრა, ვინც ასე იღვაწა, როგორც ჰაგიოგრაფები იტყოდნენ „სრბაი აღასრულა“. ეს სრბაი კი 76 წელს მოიცავს თურმე. ვის შეუძლია თვალი გადააწვდინოს ოკეანეს, ასევე თვალგადაუწვდენელია ღვაწლი მამანტი ძაძამიასი, კაცისა, რომლის საქმეები მარტო სათქმელადაც ძნელია და ჩამოსათვლელადაც, თორემ მისი გაგება და გაცნობიერება ხომ საუკუნეების ტვირთი იქნება ალბათ.

ვინ იტყვის, რაზე გადის ერთი ადამიანის შესაძლებლობათა ზღვარი. მამანტი ძაძამიას ცხოვრების გზის ყოველი მონაკვეთი დატვირთული იყო და ადამიანთათვის მარგი. უბრალო ოჯახის შვილმა შესანიშნავი განათლება მიიღო და საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში მოექცა. საშუალო ასაკის და დროულ წალენჯიხელებს ახსოვთ მამანტი სხვადასხვა საქმეში, ყველგან წარმატებული და მისაბაძი. მაგრამ მან რაც შეძლო, ეს პირობითად შეიძლება დავყოთ, ცხოვრების მეორე პერიოდი, ეს ღვთაებრივი ნების გამოვლენაა ადამიანში და სხვა არაფერი.

მე, უბრალოდ, მინდა შემოგთავაზოთ და თვალი გადავავლოთ მის ბიოგრაფიას. ეს ალბათ ეგების დღეს მაინც.

მამანტი ძაძამია 1940 წლის 29 მაისს დაბადებულა წალენჯიხის რაიონის სოფელ ეწერში. წარჩინებით დაამთავრა 1958 წელს კ. შეროზიას სახელობის წალენჯიხის საშუალო სკოლა, 1965 წელს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სუბტროპიკული ფაკულტეტი. 1984 წელს საქართველოს სახალხო მეურნეობის ეკონომიკის მართვის ინსტიტუტი, 1989 წელს — ამავე ინსტიტუტის კვლევითი ასპირანტურა.

მამანტი ძაძამიას მამა ბესარიონი ავტოკატასტროფაში დაღუპულა 1958 წელს, რის გამოც მამანტის უმაღლეს სასწავლებელში სწავლამ მოუწია დაუსწრებლად საზოგადოებრივ შრომით საქმიანობასთან შეთავსებით.

მე არ შევუდგები ჩამონათვალს იმისას, რა თანამდებობებზე უმსახურია ბატონ მამანტის წლების მანძილზე. ეს ალბათ ყველა თქვენგანმა ძალიან კარგად იცის, მაგრამ რამდენიმე ასპექტზე მაინც მინდა საზოგადოების ყურადღება გავამახვილო.

ყველგან, სადაც კი უმუშავნია თავისი ნიჭიერებით, უანგარობითა და ორგანიზატორული უნარით, მუდამ აღწევდა მაღალ წარმატებებს და იმსახურებდა ადამიანების სიყვარულსა და პატივისცემას. გამოირჩეოდა პრინციპულობითა და პატიოსნებით. ეს პრინციპულობა და უზადო პატიოსნება მას არ გაუცვლია პრივილეგიებზე.

ეროვნული მოძრაობის ჟამს მამანტი ძაძამია ერთ-ერთი პირველთაგანი დადგა ლიდერთა გვერდით და აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, რის გამოც მისი და ოჯახის წევრების სიცოცხლე არაერთხელ აღმოჩენილა საფრთხეში.

მამანტი ძაძამია ახალგაზრდობიდანვე იჩენდა დაინტერესებას მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიმართ. მე გამოვარჩიე რამდენიმე მისი ძალიან მნიშვნელოვანი ნაშრომი. ახლა ყველას ჩამოთვლას მე ვერ შევუდგები, ბუნებრივია, მაგალითად, მას აქვს ძალიან საინტერესო სამეცნიერო ნაშრომები აგროქიმიაში, ისტორიასა და ეთნოგრაფიაში, სოფლის მეურნეობასა და ეკონომიკაში, რაც საბოლოოდ განსაკუთრებული დაინტერესების საგანი გახდა, რა თქმა უნდა, ყველა თქვენგანმა, ყველა ჩვენგანმა ძალიან კარგად ვიცით, ენათმეცნიერებაა.

მამანტი ძაძამიას თანაავტორ ქალიშვილთან ცირა ძაძამიასთან ერთად გააჩნი 3600-მდე გამოქვეყნებული და ჯერაც გამოუქვეყნებელი საენათმეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 16 მონოგრაფია, აქედან ორი ერთტომეული, ორი ორტომეული, ერთი სამტომეული, ერთი შვიდტომეული, ერთი ოცტომეული და ერთი მრავალათასტომეული. მათი კვლევის ძირითადი საკითხია ენის წარმოშობის საფუძვლები, საერთოდ ენის ფენომენი.

მამანტი ძაძამია ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. მას ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა ჯერ უფროსი მეცნიერთანამშრომლის, შემდეგ დოცენტის და ბოლოს პროფესორის წოდება და შესაბამისი თანამდებობანიც. 1996 წელს მას ირჩევენ აგრეთვე გალის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის, შემდგომში უნივერსიტეტის პროფესორად. 2002 წლიდან მუშაობდა თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის, შემდგომში თბილისის ევროპული უნივერსიტეტის წალენჯიხის ფილიალის პროფესორად და პრორექტორად სამეცნიერო დარგში. 2005 წელს არჩეულ იქნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის საპატიო პროფესორად.

10 წლის განმავლობაში კითხულობდა ბატონი მამანტი ლექციებს, მათ შორის შვიდი წლის განმავლობაში ასწავლიდა სტუდენტ-ახალგაზრდობას ფაკულტატურად მის მიერ თანაავტორ ქალიშვილ ცირა ძაძამიასთან ერთად ენათმეცნიერებისათვის შეთავაზებულ ახალ დარგს „სიტყვათწარმომავლობის საფუძვლები, იგივე ენის წარმოშობის საფუძვლები“.

მამანტი ძაძამია 1997 წლიდან არის საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორსპონდენტი, 2003 წლიდან — კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციციისა და მასთან არსებული აკადემია „აია“-ს პრეზიდენტი. 2005 წლიდან — საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის, „ფაზისის“ მეცნიერებათა აკადემიისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი. 2010 წლიდან საქართველოს ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, 2011 წლიდან — საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ აკადემიკოსი და ამავე აკადემიასთან არსებული დ. გულიას სახელობის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის საპატიო პროფესორი.

მამანტი ძაძამიას მართალი სიტყვა, სინდისი და პატიოსნება არის მისი ცხოვრების კრედო. მას ჰყავს მეუღლე ქალბატონი ელეონორა და არაჩვეულებრივი შვილები.

დღეს, აქ თავმოყრილი ადამიანები ალბათ გამოხატავენ სურვილს იმისას, რომ გამოეთხოვონ ამ უძვირფასეს ადამიანს და მე ახლა ვთხოვ და სიტყვას გადავცემ ზური კვარაცხელიას, რომელმაც ყველაფერი იცის მის შესახებ.

ასმათ კვარაცხელია,
ფილოლოგი.

გენიალური კაცი!



ბუნებრივია, მე საგანგებოდ არ ვარ მომზადებული ასეთ დროს, ასეთ სიტუაციაში. ასეთი სიტუაციისთვის უახლოესი მეგობრები საგანგებოდ არ ემზადებიან და არც უნდა ემზადებოდნენ პრინციპში და რადგანაც მე არ მაწუხებს დღევანდელ საზოგადოებაში ესოდენ მოჭარბებული ნამარგალიში კომპლექსი, მე შევეცდები ერთი-ორი სიტყვა ვთქვა მეგრულ ენაზე, ანუ ნანაში ნინაზე. ეს აუცილებელია დღეს, რამეთუ დღეს ბატონი მამანტი უნდა გავაცილოთ აქედან.

მუჟამი ვარდუო კითხირიში ნიშანდულობაში თუდო ქიგედირთ ჩქინი თურიში იდენტობაში ართიართი თავარი გამოხანტულებაქ, მარგალური ნინაში დინაფაქგნი, ვაგაწირ ჩქინი მარგალონა, ჩქინი კოლხ-იბერი ღორონთქ დო ქგმაშქვ მამანტი ძაძამია, ნამუში ხანდათ უდიდაში პოპულარიზაცია გაუკეთ რინაში კარც მერინელი ჩქინი ნინას, დო ამდღა ჩქი რახანც გომრჩქინდეს იმენდიქ თიში, ნამდა ათე ნინაქ შილებე ვადინასგნი, თენა შურო მითინიში ჭყოლობუა ქორედა, მუ რაგადი ოკო, დიო ჟინი ღორონთიში დო უკული მამანტიში ჭყოლობუაში.

მა არძას ბცენქ დიდი პატის მარგალური იდენტურობაში დინახგლე, გვალო ბრელი მუთუნც ორთ, მარა მამანტი ძაძამია ტიტანი, კოლოსი, გენიალური კაცი, რომლის ტიტანურმა შრომამ მართლაც იმხელა ნაყოფი გამოიღო, რომ უდიდესი ალბათობით ჩვენში ჩვენი ჯიში და ჯილაგი შეიძლება არ გაქრეს, არ დაიღუპოს, არ მიეცეს სადღაც არსაითობას!..

ათენა გენიალური მამანტი ძაძამიაში ჭყოლოფუარე. მუ რაგადი ოკო, კინე იბჩიებუქგ ჟინი ღორონთი წგკმა ართო, ღორონთიში დო, მამანტიში დო უკული, ესე იგი, თანამოაზრეების, ხედავთ, მე შიგა და შიგ მაინც გადავდივარ ქართულ ენაზე, რადგან ესეც მეტყველებს იმაზე, ესეც იმის მიმანიშნებელია, რომ ამ ენის თვალსაზრისით ძალიან ცუდად არის საქმე.

პატონი მამანტი, ჩქიმი ოცოროფე მამანტი, ღორონთქ გოჩხონუას სი, ჩხონაფა ორდას სქანი! ეთეურეშე ქგმმეხვარით, ეთევრეშე ვემმოტუათ. ბგინაფლე ნამდა ლგმა იცუაფუ, დიდი, კაბეტი ლგმა მელგნა წოხოლე, მუსუთ ჯოხო ჩქინი დუდიში გინოსქილადაფანი. ათაქ სქანი ჯოხობუა, სქანი გვარი, სქანი ნახანდეფი რე ზუსტას თინა, ნამუთ ჩქი ოკო მიღუდანი იარაღონი!..

ჩხონაფა სქანი! არდავიწყება ყოფილიყოს შენი სახელის და არც იქნება! ნათელში იყავი!

ღორონთქ გოჩხონუას, ჩქინი მამანტი!..

ზურაბ კვარაცხელია,
სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“
ზუგდიდის ორგანიზაციის
ხელმძღვანელი.

ვალმოხდილი და ღვაწლმოსილი!



პატივცემულო საზოგადოებავ, სულმნათი მამანტი ძაძამიას ოჯახის წევრებო, მეგობრებო, „ფაზისის“ აკადემიის პრეზიდიუმის წევრი აკადემიკოსი მამანტი ძაძამია, კოლხურ-მეგრული ლექსიკონის შემქმნელი, ჭეშმარიტად უკვდავია! დიდი გოგლა ლეონიძე, მართლაც დიდია ის კაცი, ათეული წლების წინ რომ გამოეხმაურა თავისი გენიალური ლექსით, ისეთ პრინციპულ, ეროვნულ ერისკაცების ღვაწლს, როგორიც სულმნათი მამანტი ძაძამია გახლდათ. მე, თავს უფლებას მივცემ ეს ლექსი წარმოგიდგინოთ, რადგან იგი ასახავს მამანტი ძაძამიას სულს, გონს, ეროვნულობას, სტაბილურობას, პრინციპულობას:

„მთები, მთები და ცხოვრების
როლებზე
ამაღლების მოსურნეთა
მხედრობა,
თუ ხარ მონა, ამა ქვეყნად
ერი აღარ გენდობა“...

მორჩილების მონური ღიმილი, ნაცვლად თავისუფლების, ვერ შეგბედეს, ვერვინ გადმოგაბრალათ... იცოდით თქვენ, რომ ქართველთა მატიანეს, უპირველეს ენას იკვლევდით და კოლხეთის ისტორიის უფსკრულების ნაპრალებში აღმოჩენილ წინაპართა ნაფეხურებს შეჰყურებდით უკვდავყოფით. რადგან ისტორიული ფაქტები სამწუხაროდ ცხადჰყოფს, რომ მშობლიური ენის უპატივცემულობით საბოლოოდ კვდება იგი, რაც ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხების გადაგვარებას, გადაშენებას და გარდაუვალ სიკვდილს განაპირობებს.

ფრთხილად ქართველნო, ფრთხილად! გფარავდეთ ღმერთი!

სულმნათმა ბატონმა მამანტი ბესარიონის ძემ, სიცოცხლეშივე აღიარებულმა მემატიანემ, კორიფემ, ასევე სწორად ითქვა ჩემ წინ გამოსული ორატორების მიერ, მშობელი ხალხის საფიცარმა მამულიშვილმა, მეცნიერული მემკვიდრეობით უკვდავყო რა საქართველოსა და ქართველი ერის თვითმყოფადობა, ისტორია, კულტურა, თავადვე კაცობრიობის მარადიული ღირებულებების ჩაუმქრალ ვარსკვლავად გაბრწყინდა. ჩვენ, ფაზისელ ცოტნეიდელებს, ე.ი. აღმსარებელთ მცნებისა უფლისა და დამდებელთ სულისა თვისისა საქართველოსა და მოყვასთათვის, ე.ი. ცოტნე დადიანის მიმდევრებს გვეამაყება, რომ ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის სამეცნიერო საბჭომ მსოფლიოში განთქმული დიდი მეცნიერის, სულმნათ, ამავე აკადემიის აკადემიკოს ცოტნე მირცხულავას თავმჯდომარეობით 2007 წლის 25 მაისს, მხარდაჭერის ისტორიული გადაწყვეტილებით რეკომენდაცია გაუწია ფუნდამენტალური ნაშრომის — „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“ შვიდტომეულის გამოცემას, სადაც დადასტურებულია, რომ უძველესი მეგრული ენა ერთ-ერთი ქართველური ენაა და იგი ქართული სალიტერატურო თანამედროვე ენის წინამორბედ ენად გვევლინება, როგორც პროტოქართული, კოლხური ფენომენი.

მეცნიერულ დასკვნებს ეხმიანება და ადასტურებს ფესტოსის დისკოს წარწერის გაშიფრვა, ძველ კოლხური, ძველ იბერიული, ე.ი. ქართული სულ მცირე 4000-წლოვანი ოქროდამწერლობით. ამდენად, ღვთის წყალობით ნათელი გახდა, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა 40 საუკუნის წინათ ფუნქციონირებდა თავისი სახელმწიფოებრივი ენითა და დამწერლობით, ის, რომ ძველი კოლხურ-მეგრული ენა კილო-კავი თუ დიალექტი არასოდეს არ ყოფილა. ამდენად, ქართველისთვის შეურაცხმყოფელი ბრალდება მეგრული რევანშისტული სეპარატიზმისა ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და გონიერი მტრის თუ უგუნური მოკეთის მიზეზით საერთო ტკივილია, ერთიანი ქართული სხეულის ხერხემალშივე გადატეხის მიზნით.

პროტოქართულ, ძველკოლხურ, ძველ იბერიულ, მეგრულ ენაზე მიმდინარეობდა სწავლება ფაზისის კოლხეთის სამეცნიერო-საერო აკადემიაში, რომელშიც ცოდნის მაძიებელნი ევროპიდან და აზიიდან მოემართებოდნენ. სახელგანთქმული ბერძენი ფილოსოფოსები, ორატორები, მამა-შვილი ევგენიოსი და თემისტიოსი, შორეული კესარიიდან ჩამოსულები აქ ცოდნის დაუფლებით ამაყობდნენ კიდეც, ურჩევდნენ რა სწავლა-განათლება მათ შეგირდებს სწორედ შორეულ კოლხეთში, ფაზისში მიეღოთ. ძველ-კოლხურ, მეგრულ ენაზე მეტყველებდნენ მედეა და იაზონი, აიეტი, კირკე, ქუჯი ეგრისელი, ლაზი მეფე გუბაზ მეორე, მსოფლიოში სახელგანთქმული ორატორები: აიეტი, ფარტაზი, წათე, რომელთაც ფაზისის აკადემია ჰქონდათ დამთავრებული.

სადღეისოდ, ღვთის წყალობითა და ნებით, ძველი კოლხური, მეგრული ენა გაბრწყინდა და მკვდრეთით აღდგა, ვითარცა წმინდა ლაზარე. გულწრფელად და გულმხურვალედ, ნივთმტკიცებით ნათლად არის გამოკვეთილი მისი ცოცხალი სახე. ეს, უკვდავი, სულმნათი მამანტი ძაძამიას დამსახურებაა.

ჩვენო საფიცარო წალენჯიხელებო!

კაცი — ლეგენდა, კაცი — მენცარი, ჩქინი ტონბა კოჩი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II აღმაშენებლის საგალობლის ძალითა და იმედის ხატის ღვთის ნაკურთხი მადლით, ქართული თვითმყოფადი გენისა და ფენომენის საადიდებლად, გფარავდეს უფალი ძე ღვთისა იესო ქრისტე!..

სულიწმიდის მადლით გაბრწყინდეს ქართველი კაცის ნიჭიერება და ისტორიული სამართლიანობით გაიხაროს ყოველმა ქართველმა. სიკეთემ, ცოტნეიდელ-ჭყონდიდელობამ გაიმარჯვოს ბოროტებაზე, შადიმანფარსადანობის სინდრომზე.

დიდება უფალს იესო ქრისტეს, რადგან მეფობს და სუფევს უფალი, ამინ! ჩვენთან არს ღმერთი, ღვთისმშობელი მარიამი, ზეციურ წმინდანთა დასი, მათ შორის კანონიზირებულნი საქართველოდან.

უღრმესი პატივითა და სამადლობელით შევთხოვთ მაღალ ღმერთს სამოთხეში, ნათელში იყოს ვალმოხდილი და ღვაწლმოსილი, სულმნათი მამანტი ძაძამიას წმინდა სული, სადაც მართალნი განისვენებენ.

დასასრულს, როგორც ერის მამა, დიდი ილია ჭავჭავაძე, ილია მართალი გვმოძღვრავს, გამოვხატავ ერთსულოვან პოზიციას, რომ სამეგრელო იყო, არის და იქნება საიმედო, ისტორიული ხერხემალი ერთიანი, ძლიერი და განუყოფელი დედასაქართველოსი, ფოთი — ფაზისი კი მისი ზურგის ტვინი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ! გფარავდეთ ღმერთი! ამინ!..

ნუგზარ ნადარაია,
„ფაზისის“ საერო-სამეცნიერო
აკადემიის პრეზიდენტი

„კურთხეულია ნაბიჯი ვალმოხდილისა“



ძვირფასო ჭირისუფლებო, პატივცემულო სტუმრებო, ბატონებო და ქალბატონებო, დღეს ჩვენ ზეციურ ოდაბადეში ვაცილებთ დიდებულ პიროვნებას, რომელმაც განვლო ნათელი გზა, დაგვიტოვა უმდიდრესი მეცნიერული მემკვიდრეობა და ფაქტიურად ამ მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობით მან უკვდავყო მეგრული ენა და ქართველი ერი!

ბატონი მამანტი აბსოლუტურად ვალმოხდილი ხდება ზეციური ოდაბადესი. მან აღასრულა თავისი ვალი და ის მისია თავისი ოდაბადეს, თავისი დიდებული მეგრული ენის წინაშე!

იგი აბსოლუტურად ვალმოხდილია, როგორც დიდი კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებს: „კურთხეულია ნაბიჯი ვალმოხდილისა“. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რაც დრო გავა, მამანტის სახელი შეიმატებს უფრო და უფრო მეტ დიდებას. ჩვენ ამჟამად ძალიან გაგვიჭირდება აქ შევიმეცნოთ, გავაცნობიეროთ ის უსაზღვრო ღვაწლი, რაც დაგვიტოვა ამ დიდებულმა პიროვნებამ. ამას დრო სჭირდება, ბატონებო. ღმერთმა ქნას, რომ ჩვენ ეს შევიმეცნოთ.

მე მინდა ვუთხრა ყველას, რომ ბატონი მამანტის მიერ განვლილი ცხოვრების გზა სამაგალითოა თითოეული ჩვენგანისათვის. ბედნიერია სამეგრელო, ბედნიერია საქართველო, ბედნიერია ჩვენი წალენჯიხა, რომ მან შეძლო სამშობლოსათვის ეშვა ასეთი უდიდესი პიროვნება!

ჩემო ბატონებო, დასასრულს მე მინდა შევთხოვო უფალს, რომ ჩქინი დიდი მარგალიში, უპირველესი მარგალიში, უდიდესი პიროვნებაში შური ზეციური საუფლოს ქჷდომრინუანი, თექ, სოდეთ მართალეფი გჷნისვენენანი, დიდება დიდი მამანტიში ნათელი ხსოვნას!

რამინ ახალაია,
ჩხოროწყუ

მთაწმინდაზე გეკუთვნოდათ თვალსაჩინო ადგილი!..



ქალბატონებო და ბატონებო, ძვირფასო საზოგადოებავ, წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი ადამიანი, ერისა და სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი, დიდი მეცნიერი, რომელმაც მსოფლიო ენათმეცნიერებაში რევოლუცია მოახდინა.

მაშინ, როდესაც მსოფლიოს წამყვან მეცნიერებს ენათმეცნიერებაში არსებული უმთავრესი პრობლემა — ენისა და მეტყველების წარმოშობის საკითხი სამუდამოდ დაკარგული ეგონათ და გადაუჭრელ ამოცანად მიაჩნდათ, თავის ქალიშვილთან ერთად, მამანტი ამ პრობლემას საოცარი სიზუსტით ხსნის.

შურს, შურიანს და ბოროტს რა გამოულევს ამ ქვეყანას, თორემ მამანტისათვის რომ დაეფასებინათ ის ღვაწლი ჯეროვნად და შთაეგონებინათ ჩვენი ხელისუფლებისათვის, რა დიდი ადამიანი გვყავდა, მას ასე ადვილად არ გაისტუმრებდნენ იმ ქვეყნად, ხელს შეუწყობდნენ და დაიცავდნენ მის ჯანმრთელობას, ვაგლახ, ვერც ჩვენ, მისმა თანამოაზრეებმა და მისმა მშობლიურმა ხალხმა ვერ ვიზრუნეთ შენს ჯანმრთელობაზე, ბატონო მამანტი, მაგრამ ეს ჩვენთვის არის ცუდი, თორემ თქვენ მარადიული უკვდავება გაინაღდეთ.

დღეს თქვენ თქვენი მშობლიური მიწა მიგიბარებთ, ბატონო მამანტი, მაგრამ ხელისუფლებას რომ გაეცნობიერებინა თქვენი ფასი, თქვენი მნიშვნელობა, თქვენ, თბილისში, მთაწმინდაზე გეკუთვნოდათ თვალსაჩინო ადგილი.

კუკური ფიფია,
„აია“-ს და „ფაზისის“
აკადემიების წევრი, კოლხური
კულტურული მემკვიდრეობის
შესწავლისა და დაცვის
ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი.

ფასდაუდებელი საგანძური დაუტოვა შთამომავლობას!..

ძვირფასო საზოგადოებავ,

დღეს ჩვენ ვეთხოვებით ადამიანს, რომელმაც თავისი ცხოვრების წესით ღრმა პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. დღეს ჩვენ ვეთხოვებით ადამიანს, რომელმაც თავისი ტიტანური შრომით ახალი ბიძგი მისცა მეგრული ენის, როგორც განსაკუთრებული ფენომენის მეცნიერულ კვლევა-ძიებას და ფასდაუდებელი საგანძური დაუტოვა შთამომავლობას და ერს, როგორც ასეთს; ჩვენ ვეთხოვებით ადამიანს, რომელმაც ბევრი რამის თქმა და გაკეთება შეძლო, მაგრამ ბევრი რამ დარჩა სათქმელი და გასაკეთებელი. მე მქონდა ბედნიერება ვყოფილიყავი შვიდტომეულის — „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“ გამომცემელი. ეს ის გამოცემაა, რომელმაც მამანტი ძაძამიას, როგორც მეცნიერს, ძალიან დიდი აღიარება მოუპოვა.

აქ იყო საუბარი, რომ ბევრი რამ დარჩა კიდევ გამოსაქვეყნებელი. დარწმუნებული ვარ, მისი ოჯახი და მეგობრები იზრუნებენ იმაზე, რომ საჯარო გახდეს ის მეცნიერული კვლევა-ძიება, რომელიც ბატონმა მამანტიმ შეძლო დაეტოვებინა.

თბილისიდან წამოსვლის წინ დამიკავშირდა ჩემი უფროსი მეგობარი ბატონი ნოდარ ჭითანავა და მთხოვა სამძიმრის წერილი ჩამომეტანა ოჯახისათვის. მე ვსარგებლობ შემთხვევით და საზოგადოებას მოვახსენებ იმ ემოციას, რომელიც ბატონ ნოდარს განაცდევინა ბატონი მამანტის გარდაცვალებამ.

ზაურ ნაჭყებია

მამანტი ძაძამიას ოჯახს

თავზარდამცემი იყო ცნობა ბატონი მამანტი ძაძამიას გარდაცვალების შესახებ, რომელთანაც ახალგაზრდობის წლები მაკავშირება. იგი, ახალგაზრდობის ლიდერი, მაღალი ღირსებებით გამოირჩეოდა. ცხოვრებამ ყველაზე ცუდ, რთულ უბანზეც სამეურნეო საქმიანობაში გამოსცადა. ყველგან და ყოველთვის ძლიერი იყო, თაოსანი, ადამიანების მოყვარული, მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის კაცი, ეროვნული ტრადიციების ერთგული დამცველი. განსაკუთრებული, მაგრამ სრულიად მოულოდნელი მისი წარმატებული ნაბიჯები ეროვნული კულტურის განვითარებაში. ბატონი მამანტი ღრმად ჩაწვდა კოლხი კაცის ფესვებს, მიაგნო მის მკვებავ წყაროს და საზოგადოებას შესთავაზა ორიგინალური, მყარ მეცნიერულ ლოგიკაზე დაფუძნებული ნოვატორული შეხედულებანი, დასკვნები. ამით, მან ქართულ ცნობიერებაში გარღვევის სტრატეგია განახორციელა და ახალი მიგნებებით გაამდიდრა ქართული კულტურა და ქართული ისტორია. გვაქვს სრული საფუძველი ვთქვათ, რომ ბატონი მამანტი თავისი შემოქმედებით, ცხოვრების წესით, ქართველი კაცის მიმართ, დიდი ილიას ცნობილი შეხედულების შესაბამისად, ყველა მოთხოვნას სრულად პასუხობს. იგი, უპირველეს ყოვლისა, ოჯახის კაცია, ქართული ოჯახის, როგორც ფენომენის დამცველი. აქედან იწყება კაცურ-კაცობის ყველა საფეხურზე გვარის, თემისა დ ერის წარმატებული ნაბიჯები. რაც შეეხება ეროვნული ცნობიერების განვითარებაში მის ექსკლუზიურ როლს, დამსახურებას, დღევანდელი მენტალიტეტით სრულად ვერ შეფასდება. დარწმუნებული ვარ, მომავალი მას დამსახურებულად მიანიჭებს ზოგად კაცის გამორჩეულ საპატიო სტატუსს, ამიტომ ვთვლი, რომ ბატონი მამანტის გარდაცვალება ქვეყნისთვის, არა მხოლოდ უმძიმესი დანაკლისია, არამედ სიცარიელეა, ვაკუუმია, რომლის შევსებას არავინ იცის რამდენი დრო დასჭირდება.

ახლა ისღა დაგვრჩენია ვიგლოვოთ, ღირსეულად დავიტიროთ, როგორც ქართველებს გვეკადრება, გავმაგრდეთ, როგორც დევანდელობა ითხოვს, ვიყოთ ერთსულ და ერთხორც შეკრულნი, ისე, როგორც ჩვენს სამშობლოს სჭირდება. ბატონი მამანტი მომავალშიც იქნება ერისკაცობის სანიმუშო მაგალითი. ჭეშმარიტად, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, შევთხოვოთ უფალს სასუფეველში დაამკვიდროს მისი ნათელი სული!

დიდი მენცარი!



ჩქინი ჯგირი კათა, აიაში დარი, თაურეშე მუგოჩინანთ მუ გურმაჭუ, მარგალეფიში გურმაჭუ კათაქ მიდართ. კათა მეურსჷ დო ამდღარი დღას თიში გლოვა მიღუნა. დიდი მენცარი, სამარგალოში დიდი კოჩი, დიდი მარგალი, ართართი ოქორთუეში დიდი ქორთუ, მამანტი ძაძამიაქ მიდართ ჩქინდე. ნაღდას ჩხონაფა, ჩხონაფა თის თი ქიანას!

დიდი მენცარალათ, მუშით დიდი ლექსიკონი შექმნ, დიდი ორდ თიში საქმე, თელი სამარგალო უჷორდ დო ნათელი შარა, ნათელი მეჩამუდას, ოჩხონუას ღორონთქ თიში შური!

მალხაზ — ლაზარე გრიგოლია,
აბაშა

მეგრულო — ჩემო აკვნის ენავ!

შენზე ფიქრმა, შენზე ზრუნვამ
ღამეები მათევინა;
შენი გადარჩენის სწრაფვამ
მტერიც ბევრი მათელვინა;
შენმა ყოვლად ძლიერებამ
ხელთუქმნელი მაქნევინა;
ღვთიურ მადლმა, ღვთიურ ენით
ღვთის სათქმელი მათქმევინა...

მამანტი ძაძამია.
27.09.2013 წ.

თქვანი ნაყოფის მუკმაწილარი ქოშიბუდას!



გმადლობთ, დიდი არაფრის თქმა არ შემიძლია, ასეთი ღვაწლმოსილი ადამიანის ცხედართან და მის სულთან, მით უმეტეს თქვენთანაც, მაგრამ ერთ-ერთი თანამონაწილე მეც გახლდით, 90-იანი წლების მიწურულს, ორი დღე-ღამე გავატარეთ მამანტი ძაძამიას სახლში, რათა ის შეგვეხვედრებინა ერთ-ერთი ცნობილი პიროვნებისათვის, რათა ნათელი ეხილა იმ ნაშრომს, რაზეც მუშაობდა ბატონი მამანტი და ეს გამხდარიყო საყოველთაო, და ეს უნდა მოხვედრილიყო მეცნიერებათა მხედველობის არეში.

მაშინაც ცოტა პრობლემები ჰქონდა, სანამ დანიშნულების ადგილამდე მივიდოდით, სამ-ოთხჯერ გავაჩერეთ მანქანა, რადგან მას რაღაც პრობლემები ჰქონდა, ქალბატონი ელეონორა დამემოწმება ამაში ალბათ. და ამან ნაყოფი გამოიღო. მე რასაც ვფიქრობ, მე მეგრულად ვიტყვი იმას, რომ პატონი მამანტი, თქვანი ნახანდი დო ნაყოფის მუკმაწილარი ქოშიბუდას! ღორონთქ ოშურეთის დგგორინეს, გეხარით!..

როსტევან გვარამია,
ხობი

დიდება ზეციერ ადამიანს!

ძვირფასო საზოგადოებავ, წალენჯიხელებო, სამეგრელოს კეთილო ადამიანებო, 7 დეკემბერს, ზუგდიდის ცენტრში, ახალგაზრდობის ცენტრში გაიმართა გმირულად დაღუპული ვაჟკაცის დღესასწაული და სიტყვით გამოვიდა საერო აკადემიის პროფესორი სიმონ ზაქარაია და მამანტიზე დაიწყო საუბარი თვითონ და გრძნობდა ამ ტრაგედიას. აქ ესწრება და ალბათ იტყვის.

მე გახლავართ აფხაზთა და ქართველთა შერიგებისა და თანადგომის კავშირის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი. ღრმა მწუხარებით ვართ, მამანტი ძაძამიას გარდაცვალების გამო.

სამეგრელო იყო და იქნება ყოველთვის. წარსული უნდა გავიხსენოთ, რათა გამოვაღვიძოთ მომავალი. ტერენტი გრანელი, შოთა მესხია, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია, მრავალი, მრავალი სამეგრელოს წარმომადგენელი.

თქვენი ნაწერი შვიდტომეული ფაზისის აკადემიის პრეზიდენტს თავის მაგიდაზე უწყვია და ყოველთვის გახსენებთ და მუდამ სახსოვარი იქნებით ჩვენთან.

დიდება თქვენ, დიდება ზეციერ ადამიანს, რომელიც დღეს კიდევ დაგვეხმარება, კიდევ ჩვენთვის იზრუნებს და ბედნიერად ყოფილიყავით ყველანი. მთელი აფხაზეთის სახელით მადლობას ვუხდი საზოგადოებას და ამ ოჯახს.

სერგო წურწუმია,
აფხაზეთი

მეგობრებო!

სამწუხაროდ, დღეს ძალიან ბევრი ვერ ჩამოვიდა და მე მინდა გითხრათ, გადმოგცეთ, ე.ი. დიდი სამძიმარი, დიდი ტკივილი ბატონი როლანდ ჯალაღანიასი, რომელიც მძიმე ავადმყოფია. სამწუხაროდ, ასევე, მეგრული ლიტერატურის ცოცხალი კლასიკოსი გიორგი სიჭინავა, რომელიც ასევე არის მძიმე ავადმყოფი. სამწუხაროდ, გრიპის ვირუსით დაავადდა, ვერ ჩამოვიდა და ვერ ესწრება აქ დღეს ზაურ გახარია, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ კოორდინატორი. ასევე საგანგებოდ მთხოვა თავისი უდიდესი გულისტკივილი და სამძიმარი მეთქვა ოჯახისათვის, საზოგადოებისათვის, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ პრეზიდენტმა ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ, რომელმაც ძალიან განიცადა ეს ტრაგედია... ეს მინდოდა მეთქვა თქვენთვის, ძვირფასო მეგობრებო.

ზურაბ კვარაცხელია

დიდი მორიდებით მინდა მივუძღვნა გამოსათხოვარი, ერთმა უბრალო ადამიანმა, ძვირფას პიროვნებას მთელი საქართველოსათვის.

ცოცხალი საგანძურის მაძიებელს!

განა ძალმიძს შევაფასო,
ვიტყვი ალალ სიმართლეს:
რიდი მიპყრობს, ვერ მივსწვდები
თქვენი სულის სიმაღლეს.
ის იმდენად დიადია,
ფიქრში განუზომელი,
თქვენი აზრის მარგალიტებს
შევადარო რომელი.
მადევს თქვენგან სიტყვის ვალი,
გულზე სევდის ცრემლებად,
მინდა ლექსი აგიფრინო
თეთრი სულის მტრედებად,
თქვენი სევდის ცრემლის წვეთიც
არის აუწონელი,
იყავ ნიჭით შემოქმედი,
ჭეშმარიტი მშრომელი.
მითიური კოლხურ ნანას
გესმა ექო ზღაპრული,
რუსთველური ლაღ ზურმუხტის
ჰანგად და მოქარგული.
ვით სამოთხის გასაღებად
ცოცხალ ჩანგად ააწყვეთ,
ქართან გარდუვალობისა
ვერაფერი გააწყვეთ.
სულის ფერისცვალებათა
გზებს სიჩუმის მიჰყვები,
შენგან სიბრძნის მღაღადებლად
აქ დატოვეთ წიგნები!
სიტყვის თილისმას ეძებდი,
არც-რა სახელ-დიდებას,
შეალიე ხორცთან სული
მართალ კაცის ღირსებას.
გულზე გაწვა უზმო ტვირთად
მთელი ერის ნაღველი,
მით ბოლომდე დაილია,
დარში ვეღარ გაძელი.
იმ კოლხური ქოხის მადლი
უცხო შუქით გამკობდა,
ჩელასა და მაფშალიას
ტკბილი ჰანგით გატკბობდა.
მითოსებში მით ჰყვაოდი,
სევდით შენაფერელი,
მოუხელავს სულის განცდა
აქ, წიგნებად მწერალის!..

ავთანდილ ცირამუა,
ნაკიფუ



მამანტი!

გამოსათხოვარი

ოზეშე ვეგნორთე, ქინორდე,
ქომითხი სქან ფანიაშა,
ემერ შორს, შხვეფწკმა მითორდე,
ეკკაკითხანა მუშ ცვაშა,
გამგონე, ჭკვერი ოკო რდე,
ღირუდე დოცუნაფაშა,
სქან ნეშტი სით ვენდგაღინე
აკადემია „აია“-შა“,
სქან ჯვეშეფს ხოლო ვეწყინებ,
ღირუნი მოშინაფაშა,
„აია“-შ წევრი მით ცოფე
მიშ ათეშ მოაზრებაშა,
მარა დუდ, სო აკიჭოფედ
სონ დო სონ თეზმა კათაშა,
გურ ალაბაძგილ მაფუდეს
ბრუოში გოთანაფაშა;
ღურუს გეშუნთხორ საფულე
მუში ბარი დო წარკანტით...
„შვიდტომეული“ ვაფულე,
თქვანი ნამენცარ, ნაწკანტი,
მარგალონაში მომინჯეთ
ჩქინ წკუმა სქიდუქ, მამანტი!

გეჯით ჯალაღონია

მამანტი ძაძამიას

(სონეტი)

შენ დაგანახვა შენში ღმერთი
თითქოს განგებამ,
რომ შორეული და გრძნეული
განძი გეპოვა;
ურწმუნოებას ღვთაებრივი შენში
ანგრევდა, —
სიბნელისათვის შარაგზა რომ
გადაეღობა.
შენში უთვლელი ძველკოლხური
სიტყვა ნეტარებს,
ვით ელვარება უძველესი
ოქროს საწმისის;
ჩვენი წარსული შენში ხედავს
ნამდვილ მეზარეს,
უბე კოლხეთის — ქართველურის
ფუძე-საწყისი...
წარსულმა შენში ოდინდელი
იგრძნო სილაღე,
მახლობელივით სასოებით
თითქოს გემთხვია;
დღემდე მოჯარულს შენ მუსრს
ავლებ ყველა სიყალბეს,
კოლხურ ნათებას ბურუსივით
რომ ახვევია...
კოლხეთი ღრუბელს გადაიყრის
ძველს და აწინდელს,
რომ საქართველო უფლის ნებით
ისევ გაბრწყინდეს!

რინოს კვარაცხელია

ელეგანტური და ტოლერანტული!

უკაცრავად ბატონებო და ქალბატონებო, სტუმრებო, ჭირისუფლებო, მასპინძლებო, დიდებო და პატარებო!

მე მინდა გამოვეთხოვო ამ დიდ ადამიანს და ორიოდე წუთით, არ გადავტვირთავ თქვენს ყურადღებას, გთხოვთ მომისმინოთ:

მინდა აღვნიშნო, ბრწყინვალე ადამიანის, შესანიშნავი პიროვნების, ჭეშმარიტი ქართველის, ღირსეული და სახელოვანი მამულიშვილის, სამშობლოს, საზოგადოებისა და საკუთარი ოჯახის, მგზნებარე პატრიოტის საუკეთესო თვისებები. ბატონი მამანტი გახლდათ ერუდირებული, ჩამოყალიბებული, რაფინირებული, დახვეწილი, ელეგანტური, ტოლერანტული ინტელიგენტი. ჩვენმა დიდმა ბატონმა თავის შვილებს, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს დაუტოვა უძვირფასესი საგანძური. მან ღირსეულად მოიხადა თავისი ვალი ერის, ბერის, ღმერთის, ხატის, რჯულის, გვარისა და სამშობლოს წინაშე!..

უმძიმესი კანონი აქვს
ამ ჩვენს გამჩენ დიდ ბუნებას,
სასწაული ვეღარ შეძლებს
დიდ ბატონის დაბრუნებას,
ღმერთით დალოცვილ იყავით
და შეგწევდეთ მადლი ღვთისა,
ერთმორწმუნე, ქრისტიანულ,
შორეული წინაპრისა!..

სოსო ციმინტია

ეს მისი სურვილი იყო...

ასე, რამდენიმე წუთიშა, ჩქინი ართ-ართი უჯგუში სქუას ჩქინი ქიანაში, ჩქინი ერიში ართ-ართი უჯგუში სქუას, მუში ოცოროფე მარგალონაში დიხა ქიხუტოლუანც.

რადგან ბატონი მამანტის სურვილი იყო, რომ ის აქედან, შეიძლება თქვენ გაგიკვირდეთ ახლა, მაგრამ ეს მისი სურვილი იყო და ძალიან კარგი, რომ ჩვენ ვასრულებთ ახლა მის სურვილს. მისი სურვილი იყო, რომ გურიელ ჭითანავას, ცნობილ მუსიკოსს და მომღერალს, ის გაეცილებინა აქედან, ამ სახლიდან, ამ ეზოდან, გულში ჩამწვდომი მეგრული სიმღერით!

მარგალური ათე ობირეთი, ქომბირია, თეში ვაგომტუავა თაურეშევა, თხუ ართი-ჟირი წანაში წოხოლე. ჩქი არძო ვორდით თექ თინწკგმა, მუჟამც თხუ გურიელც პატონი მამანტიქგნი.

გურიელ ჭითანა ამარირე ასე, ამარი ზოჯგნც, მამანტი, ჩქინი ოცოროფე მამანტი, სქანი გემუანი ხონარით დო ჰანგებით, როგორ არი მეგრულად, ე.ი. გავაცილოთ აქედან... მიდვუაზარათ თაურეშე...

ვადინაფედას მარგალური ნინა! ვადინაფედას მამანტი ძაძამიაში ნინა!..

ზურაბ კვარაცხელია

იყო უძვირფასესი საგანძურის შემქმნელი და მცველი!

მძიმეა დანაკლისი, სასტიკია რეალობა, დიდია ტრაგედია, რაც თავს დაგვატყდა ყველას, და რომელიც გამოწვეულია ამ დიდი ადამიანის მოულოდნელი გარდაცვალებით.

კიდევ რამდენი გეგმები დარჩა განუხორციელებელი. ჩქარობდა ბატონი მამანტი, თითქოსდა გრძნობდა უბედურების მოახლოებას. სიკვდილზე მაინც არ უფიქრია, ოღონდ მოესწრო, ბოლომდე მიეყვანა დაწყებული უგენიალურესი საქმე, წმინდა ქართული საქმე!..

სამწუხაროდ, ბატონი მამანტი დაეკლდა არა მარტო ოჯახს, სანათესაოს, მეგობრებს, არამედ სრულიად საქართველოს! ქვეყანას, რომელსაც მისი, მართლაც ტიტანური ღვაწლი, მიზეზთა გამო, ჯერაც ჯეროვნად ვერ შეუფასებია!

მაგრამ არა უშავს, პოეტის თქმისა არ იყოს: „შენაჯამი დრო დადგება თვალის კარგად ახელის“!.. დიახ, თვალი აეხილებათ ადრე თუ გვიან იმათაც კი, რომლებიც ღიად თუ ფარულად, ყოველნაირად ცდილობდნენ ბატონი მამანტისათვის ხელის შეშლას, ერის სასიკეთოდ გაწეულ საქმიანობაში!..

ყველაფრის მიუხედავად, ბატონმა მამანტიმ ერის წინაშე ვალი მოიხადა სრულიად. ის იყო უძვირფასესი საგანძურის შემქმნელი და მცველი! მისი საქმეები საუკუნეების შემდეგაც იბრწყინებენ!..

საბედნიეროდ, ბატონი მამანტის უკვდავი საქმის გამგრძელებლები მისი შვილები არიან, რომელთაც მამის მიერ გაკვალულ გზას ისევ სახელოვანი მამის კაცობა, ჰუმანურობა, კაცთმოყვარეობა და მაღალი ზნეობა გაუჩირაღდნებთ!

მშვიდობით კაცურო კაცო, ვალმოხდილო ადამიანო! ღმერთმა გაანათლოს შენი უკვდავი სული და უფალი ჰფარავდეს შენს დიდებულ ოჯახს!..

ვალერი ძაძამია,
ობუჯი

გამოსათხოვარი სიტყვა

პატივცემულო საზოგადოებავ,

ჩვენ დღეს მარადიულ სასუფევლისაკენ მიმავალ გზაზე ვაცილებთ ჩვენი კუთხის, ჩვენი ქვეყნის სახელოვან შვილს, ბატონ მამანტი ძაძამიას.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბატონი მამანტი იყო უნიკალური მოვლენა ჩვენი საზოგადოების ცხოვრების სინამდვილეში.

მის უნიკალურობას ადასტურებს ის ტიტანური შრომა, რომელიც მან გასწია ენათმეცნიერებაში და ამით უდიდესი ამაგი დასდო ქართული ენის შენახვას, სიწმინდეს და განვითარებას.

ამის დასტურია ის ფუნდამენტური, წარმოუდგენლად უდიდესი მოცულობის მეცნიერული ნაშრომები, რომელიც მან შექმნა ათეული წლების განმავლობაში.

დარწმუნებული ვარ, რომ მან წერტილი დაუსვა სხვადასხვაობას მეგრული ენის მნიშვნელობაზე, მის ადგილზე ქართული ენის ჩამოყალიბებში.

აქამდე მუდმივმა ეჭვმიტანილმა მეგრულმა ენამ თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრა.

მე მქონდა ბედნიერება ბატონ მამანტისთან ერთად მემუშავა პარტიის რაიონულ კომიტეტში. ვერ ვიტყვი, რომ მას ხიბლავდა პარტიული მუშაობა, მაგრამ ჰქონდა ვეებერთელა პასუხისმგებლობის გრძნობა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისადმი. ასევე, მან თავი გამოიჩინა სამეურნეო სფეროშიც, მაგრამ მისი მოწოდება და სტიქია, როგორც ვნახეთ, ყოფილა მეცნიერება.

დიახ, ბატონი მამანტი იყო მეცნიერი, ამასთან იყო დიდი მოქალაქე, მამულიშვილი, საკუთარ ქვეყანაზე, კუთხეზე, ოჯახზე უზომოდ შეყვარებული, გულისხმიერი და ყოველნაირი ადამიანური ღირსებით შემკობილი.

ბატონი მამანტი იყო თავისი ეპოქის შვილი, მაგრამ ის ეპოქაში არ ჩარჩენილა, შეიძლება ითქვას, რომ წინ უსწრებდა მას. ამის დასტურია მისი აქტიური მონაწილეობა ეროვნულ მოძრაობაში და სხვა მრავალი.

სამწუხაროდ, მუდმივი არაფერია. ბატონო მამანტი, შენ სიცოცხლეს აგრძელებ ნაღვაწ-ნაამაგარით, რომელიც დაუტოვე შენს ხალხს, მეცნიერებას, როგორც წარუშლელი ხსოვნის სომბოლო.

დალოცვილი იყოს ზეციურ სასუფევლში მიმავალი შენი გზა.

შახი ლატარია,
საზოგადოება „წალენჯიხელის“
გამგეობის თავმჯდომარე

პატივცემულო საზოგადოებავ,



მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისათვის. ყველას ტკივილს ვხედავ თქვენს თვალებში, მადლობას მოგახსენებთ, ჩვენი ტკივილის გაზიარებისთვის, თანადგომისთვის, უკანასკნელ გზაზე ამ ტკივილით რომ აცილებთ...

ნათელში ამყოფოს უფალმა!..

ბესარიონ ძაძამია

„ვაი, რა მუხა წაიქცა“

უსაზღვროა ჩვენი მწუხარება და ტკივილი. პირდაპირ ტრავმირებული ვართ... უპირველესად, ოჯახის წევრები. სამძიმარს ვუცხადებთ ქალბატონ თამილა მებონია-ძაძამიას, შვილებს, შვილიშვილებს. ვიზიარებთ მათ დიდ მწუხარებას და ვუზიარებთ ერთმანეთს ჩვენს ტკივილს.

მამანტი ძაძამია, დიახ, ეს შუბლმაღალი, გონება ნათელი, ფანტასტიური ნიჭის და ჭკუის ადამიანი, კოლოსალური შრომის მოყვარე — და ეს დითირამბები არ არის — პოსტულატებია — საკვირველი პიროვნება, რომელსაც მითინიში „ვალგ ვეგეძგ (ხვალე) ბჟა დო თუთაში გეძგ ვალი, ენა ირკოც პუხუს გეძგ, არძას აფუ ოგაფალი“ — (ისაკი).

მაგრამ, ვთქვათ ცრემლნარევი იუმორით... პოეტს აქ ცოტა შეეშალა: „ბჟა“ დო „თუთას“, მის ცას და „მურიცხებს“, მთებს და ზღვას, მამანტის სათუთ „შურობუმუ — ოდაბადეს“, უწინარეს, მათ სალოცავ „ნანაში ნინას“ — მამა-შვილ ძაძამიების ვალი იქითა აქვთ, დიახ, „ყოროფაშგ“ ვალი აქვთ, სიყვარულის ვალი მართებთ. მართალია, მეგრული ენა მათ არ შეუქმნიათ: ღმერთის მიერაა შექმნილი, ბუნების ენაა, მაგრამ მამა-შვილმა გამოავლინეს, აღმოაჩინეს, სამზეოზე გამოიტანეს მეგრული ენის კოლოსალური სიტყვების სიმდიდრე. თავისი შექმნილი ღვთისმიერი ენა ღმერთმა დაიცვა და მამაშვილ ძაძამიებმა, არადა წარმოუდგენელია ყოველმხრივ გარშემორტყმული და „დაყუმბარებული“ ენა გადარჩენილიყო, დიახ გადარჩენილიყო. 1 მილიარდ 410 მილიონი და „რაღაც“ „ბოლო“ — იმ „ბოლოს“ რაოდენობითაც სამართლიანად იამაყებდა, რომელიც გნებავთ ერი... და ძაძამიებმა დააჭეშმარიტეს, რომ ამ ფანტასტიკური სიტყვის მარაგის უდიდესი უმრავლესობა ხმაბაძვითი წარმოშობისაა, ე.ი. ბუნების ენაა, ემყარება სულ რაღაც 6652-ძირისეულ



თანხმოვნურ ფორმას. მის ზმნურ აფიქსირებულ-გრამატიზებულ ფორმებს წარმოადგენს და ეს მათ დაასაბუთეს მრავალტომეულებით, 16 მონოგრაფიით, 3600-მეტი მეცნიერული სტატიებით; — 20 ამათგან მამანტი და ცირა ძაძამიების ბიბლიოთეკის წიგნის თაროებზე აწყვია. ასევე მრავალი ათასტომეულიდან პირველი ათასტომეული იქვეა. ელოდება ჭეშმარიტად პატრიოტ გამომცემლებს.

რაც მთავარია, მეგრული ენის ღრმად, მეცნიერულად შესწავლის ბაზაზე მამანტი და ცირა ძაძამიებმა ამოხსნეს ენის წარმოშობის საიდუმოება, გადაჭრეს ენის წარმოშობის მარადიული პრობლემა, შექმნეს ენათმეცნიერების ახალი დარგი — ენათწარმომავლობა. ამით გადატრიალება მოახდინეს ენათმეცნიერებაში.

როგორც შვიდტომეულის პრეზენტაციაზე აღნიშნეს სწავლულებმა: „შედეგად ენათმეცნიერების ცენტრმა მოიარა რა ელადა, პარიზი, ლონდონი, სანქტ-პეტერბურგი, ნიუ-იორკი, თბილისი, სხვადასხვა დროს, რა თქმა უნდა, საბოლოოდ პატარა ენწერში (წალენჯიხა) დაიბინავა“. ეს ჭეშმარიტებაა და არა ლეგენდა და ამას სამართლიანად ეწოდა მსოფლიოს მეცხრე საოცრება (პოეტი — აკადემიკოსი ვაჟა ეგრისელი). მერვე საოცრება თავად კოლხეთია.

მამანტი ძაძამია ეროვნული მოძრაობის აქტიური მონაწილეა. მას ღრმად სჯეროდა, რომ „ეღირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა“, ე.ი. სწამდა საქართველოს განთავისუფლება — გაერთიანება. სავალალოა რომ ამას ვერ მოესწრო.

მართალია, მუხა წაგვექცა, მაგრამ გენიოსები არ კვდებიან, ისინი ადგილს იცვლიან, გადადიან უკვდავების საუფლოში. თავისი საამქვეყნო საქმეები, თავისივე ტომეულების თანაავტორს, ასევე ლეგენდას, დიახაც რომ გენიოსს — აკადემია „აია“-ს პრეზიდენტს — ცირა ძაძამიას სიცოცხლეშივე გადაბარა. „ის ურჩევნია მამულსა“...

ჩვენ კი, ბატონო მამანტი, ძმაო და მეგობარო, დიდი მადლობა, მშვიდობით“, აქ ხომ ბრწყინვალე, დიდებული ბრძანდებოდით, „იქ ნათელი დაგადგეს“, ამინ!

ალეკო თოდუა,
მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს ვიცე-პრეზიდენტი.

კლიმენტი კიკალიშვილი,
„ფაზისისა“ და ქალდეას“ საერო-სამეცნიერო აკადემიების აკადემიკოსი.

მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს წევრები:
ნათია ჯგუშია,
გონდო მანია,
გივი შულაია,
ნუგზარ სართანია

08.01.2017 წ.
ენწერი

ქართულ პრესაში აი ასე ეხმიანებოდნენ და აფასებდნენ მამა-შვილის — მამანტი და ცირა ძაძამიების ღვაწლსა და ნაშრომებს პოეტები. მკითხველებს ვთავაზობთ მათ ერთ ნაწილს:

აღსდექ ლაზარევ!

ვუძღვნი მამანტი ძაძამიას

სულ სხვა შუქი ადგას სიტყვებს
შენით ნაგრძნობ, დანაკვირვებს
და წარსულის მრუმე ნისლში
იმ ძველისძველ ეძებ კვირბებს.
მშობელ ენის ცისფერ ზღვაში
მიირწევი როგორც არგო,
ცდილობ, ერთი სიტყვაც მასში
არ დარჩეს, არ მიიკარგოს.
მარგალიტის მაძიებლის
მძლე ფილტვებით და
მგლის მუხლით, —
ჩვენის ენის ცერად მზირალს
შენ არავის ქედს არ უხრი.
წარმართული სიტყვის ძირებს
სინჯავ გზნებით ორაკულის, —
ყნოსავ ისე, ვით ენგურის
ზვირთს კოლხიდის ორაგული.

ზურაბ ცხონდია

ლექსიდან „წარწერა წიგნზე“

მამანტი ძაძამიას

შენ მოხველ რაღაც საოცარ ბიჯით,
ეწევი ჩუმად უმძიმეს ჯაფას;
გამოგყვა მადლი ზენარულ ნიჭის,
მორევზე მარტომ გაშალე აფრა.
კოლხური განძის ჩასწვდი ლაბირინთს
და აცისკროვნე ბნელი შრეები,
განგებას ვთხოვე, ძმაო ამ დილით, —
უმრავლოს მამულს შვილი შენებრი.
სიტყვის ფენომენს ჩხრეკ,
ფხს უსინჯავ,
ესათუთები, თან აცმევ ბექთარს;
შენს გატაცებას არა აქვს მიჯნა,
იცოცხლე, ჯანი გიმატოს ღმერთმა.
შეჭიდებიხარ დევს ცხრათავიანს
საშვილიშვილო საქმის მოთავედ;
საქველო საქმით რომ ხარ მართალი,
შეფიქრიანდა გულღრძო მოდავე.
შეჭიდებიხარ და მერე როგორ,
ზღაპრული მოგვის ჯადო-უნარით, —
დაცალო, — ფსკერზე
დანალექ ოქროს
ამოურწყველი რეზერვუარი!
ხარ უშურველად განძის გამცემი,
ჩემო მამანტი, გკოცნი, გეხვევი;
შენს წიგნს ხატივით ველაციცები,
მგონია, მხრებით ზეცას ვეხები!..

მელენტი ფიფია

ექსპრომტი „მამანტი ძაძამიას“

(წიგნის პრეზენტაციაზე)

თქვენს დიდებულ ნაშრომებში
კოლხი კაცის სული მოჩანს,
ღვთიურ ნიჭს და წმინდა კალამს
დიდი გულით დაგილოცავთ.
ბევრი რამე კაცურად თქვით,
ბევრი უთქმელიც კი დაგრჩათ,
სურნელოვან ყვავილებით
აგვსებიათ სულის ბაღჩა.
მტერმა თავი შეგახსენათ,
მაგრამ ამით ნუ შეკრთებით;
ზენამ უკვე აგაფრინათ,
რომც შეგაჭრან აწი ფრთები...
ღვთიურ კალამს დაგილოცავთ,
უწმინდესო მზის ნათელო;
კოლხი გენის ყივილია...
„გოლუაფირო, თქვან სანთელო!“

მიმოზა ცანავა

ეს წიგნი: — ჩემში

მამანტი, ცირა —
მამა და შვილი.
ენა და სიტყვა,
ფუძე და ძირი —
პროტოქართული
თუ პრექართული,
იაფეტური
და პირველქმნილი.
დედა — ენა და
მამა — ფესვები —
დავიწყებული,
უჩინოდ ქმნილი.
წარსული, აწმყო
და მომავალი
სათუთად, ჩუმად
შემონახული.
გადალახული
რუბიკონი და
ცხრაკლიტულიდან
დღეს გამოხსნილი.
ბუნების ენა —
ენა ღვთიური, —
გაცხადებული,
გაბრწყინებული...
მეგრული ენა —
მეგრული ტკბილი:
„ნანაში სქუა“...
„გოლუაფირი“...

ირაკლი ხაჭაპურიძე

ნანაში ნინაში დუდმენცარი

მამანტი ძაძამიაში
მაფერაფალი ლერსი

ტყურაშ რაგად ვამმაძირე,
ორაგადესგ მანგასგ ფთქუა, —
ოგორაფალც ვოგორა დო
მაფერაფალცგ მუფერუა.
ნანაშჲ ნინაშჲ დუდმენცარი
ირკოცგ ქოუჩქგ, მამანტირე,
ღორონთიერგ საქმეს ჯღონცგ,
მუთჲ მართალინი, მართალი რე.
ქიანაშჲ მაშხვა ოღალ მეუღუ
წუწელი ორქოცალო მონკა,
თე დიდი არხასგ მიარ ხანცგ
ბორჯიში გებიჯგდგ როკა...
თიშჲ სიდიდა, თიშჲ სისქვამე

→ 10

9 ←

სერემცგ აფუდუ ფორილი, —
კოლხური ნინა ბჟა დო თუთა
ცოფედგ აკოწყორილი...
კოლხური ზიტყვა უკოროცხგ
ზღვაში ქვიშა დო მურიცხჷცალო, —
ქიანასგ ქაძირგ ჩქინი ნინა
გოპეულერი ვარდიცალო.
მითინცგ მუშენი უკვენდასგ
მართალი რაგადი თეცალი, —
ამდღარი საქორთუოს ვაცუნცგ
თიში მადიდა მენცარი.
მალჷწყარცალო ვესვანჯგ დო
თიში ნასაქვარ ურწუმი რე.
არზი დო ხე უღუ მარდიანი,
ჟინი ღორონთიში ჭყოლოფა, —
ვერწემი წიგნო გინართინუ
ნანაში ნინაში ცოროფა...
მარგალური ნინა ცოფე
ადამშობაში გგნარჩქინა,
ჩქგ ჩქგნი ნინა მიჩქიდესგ, —
ცოფე ღორონთიში ნინა,
ცოფე მაფშალიაში ნინა,
ცოფე აიეტიში ნინა...
ურჩქინჯელო მუთუნი ვერგგ,
ირფელცგ ოკო მუშუში რჩქინა,
მიქგთი, თენა მორჩქინესგნი, —
ღორონთი, ქაცალი დიდხანცგ რინა!
პატგნი მამანტი გურითგ რხვამანქგ,
რხვამანქგ კუჩხიში გერინელო,
ღორონცგ დურინუაფუდა
ანთასჷ წანასგ ბედინერო!
საწმოხონო დიდ საქმესგ
კინჷ აწოცუნთ ხემანჯღვერო,
ძალა მერჩასგ გორჩქინუქუ
თქვანჷ ქიანაშჷ სარგებელო!

რინოს კვარაცხელია

დიდ მენცარიში მამანტი ძაძამიაში წიგნიში გაჩინებაფაქგ მოჭარაფუ ათე ლერსი

მი, მი რე დო, მი მიში რე
დო მი მისგ გგ,
მინცგ უჩქუ დო, მინცგ ვაუჩქუ,
მინცგ ირფელი შგ,
მინიშჷ ჩხოუ მაჭვალი რე,
მინცგ ვაულუ ტგ,
მინიშჷცუდეს მუთუნი ვარე,
ნამთინესგ ძგ,
ცვერე ტყვია აბრაგიში
სოდგა-სოდგა ლგ,
ტყარი ღეჯიში ოჭკუმალო, —
უსხუნ ჭყონიშგ კგ,
ჯალონენცგ სისქვამეშე
შხვას ვეკნასქგდგ ცგ,
ჯგირჷ მენძელქგ მუშჷ სტუმარცგ
ჯგირჷ დო სქვამი ჩგ.
ულირჷ წანას ჯგირო ვორდი,
გლახათგ ვორექგ წგ.

ეკა ზარანდია

მე მეგრელი ვარ!
(სალაღობო)

ვუძღვნი ბატონ მამანტი ძაძამიას — საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს პრეზიდენტს

თქვენ არ გსმენიათ?!
მე ყოვეთვის და ყველგან მესმის:
ეშმაკიაო მეგრელი ფრიად...
მე მეგრელი ვარ!
მესმის: — უხეში არის კახელი,
სიტყვაგვიანობს მძიმე რაჭველი,
გაუთლელია ზანტი ქართლელი,
ენაკვიმატი არის გურული,
იმერელი კი თავბრუს გახვევს
ცრუ თავაზითა.
სვანნი? აპა-პა, საშიშნი და
პირქუშებია!
და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...
და ერთმანეთში გულმოდგინედ
გაგკვირვებია!
მე მეგრელი ვარ!
„ეშმაკობით“ შევატყვე ყველას:
მეგრელს და კახელს,
რაჭველს და ქართლელს,
გურულს, იმერელს, სვანს,
გამოგონილი ტყუილია,
რაც ხმები, დადის
და ესე ერთი შეხედვითაც ჩანს...
მე მეგრელი ვარ!
ამიტომაც შევატყვე ყველას,
ერთად, ცალ-ცალკეც, უფლის ნებით
რომ ვართ ქართველი,
ერთურთისაგან ყველა დროში
გვჭირდება შველა,
— მხნე ერთგულება, მარადისი
ჩვენი მთაველის!
და თუ სიმართლე მოგესურვოთ
უფრო ფრთიანი,
ამ სინამდვილის ჩემგან არის
თქმა უპრიანი:
მე მეგრელი ვარ, მზის შვილ კოლხთა
შთამომავალი,
წარსულის მსგავსად, სასახელო,
მწამს მომავალი!
მით უფრო, როცა უმდიდრესი ენის
მშობელი,
ასეულობით მილიონი
სიტყვის მფლობელი,
ვქმნი ერებს შორის გასაოცარ
მწყობრ რეალობას —
ღვთივკურთხეული ხატოვნებით რომ
მეწყალობა!

თამაზ ფიფია

ჰანგებად მოსვლა

წარწერა ცირა ძაძამიას წიგნზე — „მარადი ფიქრი“

ცირასეული ნაზობს ლექსი
ვით თოვლის ფიფქი, —
სევდას ეძღვნება მარადიულს
„მარადი ფიქრი“.
ოცნებას უდრის მისეული
ძილიც, ღვიძილიც, —
სიტყვასთან ჭიდილს ენაცვლება
ფიქრთან ჭიდილი...
„მარადი ფიქრი“ ეს ლოცვაა,
გულწრფელი ლოცვა, —
ოდაბადეში უნატიფეს
ჰანგებად მოსვლა...
ცა მოსარკული ილანდება
ამ დღეის იქით, —
ტრფიალს ეძღვნება სიცოცხლისას
„მარადი ფიიქრი“.

რინოს კვარაცხელია

ღმერთმა გვიმრავლოს შენებრ სათნონი...

ვუძღვნი ცირა მამანტის ასულ ძაძამიას

სურათითაც იკითხება შინაგანი
სამყარო,
გადაშლილი სული გაგცემს როგორი
და რა ხარო.
სევდით გავცქერი აღმზრდელის
როლში
წელს ორმოცდახუთს მარგვლაში
გასულს,
ამ ხნის მანძილზე, ვფიცავ განგებას,
არ შევხვედრივარ შენნაირ ასულს.
კდემით მოსილი შენი ნათება
და სათნო სახე სულს სითბოს ათოვს,
კოლხურ თვალებში მოგიჩანს ხვითო,
კრძალვა-რიდობით ასე რომ გამკობს.
წარსულისაკენ მახედებ უფრო,
გარიდებიხარ ზეთამამ აწმყოს,
ასე საოცრად კდემამოსილი
მაგონებ წარსულს —
ზნეობით ნამყოფს.
გინდ ვარცხნილობაც დედისეული
თვალწინ რომ მიდგას, მუდამ რომ
მახსოვს,
რაღაც მისებურს ვპულობ შენში,
რომ მახარებს და სევდასაც მაქსოვს.
გასაოცარი გმოსავს სინაზე,
სევდანარევი მზერა რომ ამკობს,
მაგ ლამაზ თვალთა შუქი ღვთიური
ამ სურათიდან სიკეთით მათბობს.
ეს გარეგნული იერი შენი
როგორ შერწყმია სულს
თეთრად ნაქსოვს,
შენებრ ფაქიზი — შენი ლექსები
გულს ჩაწვდომია და ძლიერ მაწყობს.
ვფიცავ განგებას, ასე ღვთიური
თანამედროვე ცოტა თუ მახსოვს,
რა ვქნა, პორტრეტმა ეს მიკარნახა
და ნურვინ მიწყენს თუ ასე ვამბობ.
ღმერთმა გვიმრავლოს შენნაირები,
შენნაირები ღმერთმა გვიმრავლოს.
ამინ!

მარგო ფონიავა

მეფერებოდნენ როცა მეგრულად, მეფერებოდნენ თურმე, ქართულად

ვუძღვნი მამანტი და ცირა ძაძამიებს და ვლადიმერ ვახანიას

მელაციცება ის ენა ახლაც,
თითქოს ძველ სკივრში გადამალული,
არ უნდა თქმა, რომ ერთიანია,
მაგრამ იწყება სადღაც მამული...
ახლაც ვიგონებ გაფრენილ ყრმობას,
იმ ჩემს აკვანს და ოქროს საბუდარს,
მეფერებოდნენ როცა მეგრულად,
მეფერებოდნენ თურმე ქართულად!
გამომაცილა დედამ ჭიშკრამდე,
თუმცა, ტკივილი არ მაგრძნობინა,
შემომაბრუნა მარჯვნივ სამჯერ და
მითხრა: ონჯღორე დღას ვამოძირა!
ნუ შეაშინებს ეს აზრი ნურვის,
ჭეშმარიტებაც ნურავის აკრთობს, —
თე ჟირი ნინა ართი ნინა რე,
ეს ორი ენა ერთმანეთს ამკობს.
სათაკილოდ და საწყენად ვინმეს
არა მგონია, ეს თუ დარჩება, —
მთვარიან ღამეს სხვაგანაც ნახავ,
მაგრამ ვერ ნახავ სხვა თუთარჩელას.
ქართულ სივრცეებს თუკი გახედავ,
ზღვას — იაგუნდს და ზეცას —
საფირონს,
— შემოგევლეო, ყველგან გეტყვიან,
მაგრამ სხვა არის — გოლუაფირო!

ვალერი კვარაცხელია

ძაძამია მამანტი!

თიჯგუა ზიტყვას მა ვარშქიდა,
სქანი რჩქინა გამანდი —
ჟიროშ წანას გიცხოვრებდას
ჩქინი გენია მამანტი!
სქანი არზეფი ბრელი ორე, —
ზიტყვას, ზიტყვებც გარღვანდი,
სქანით ხარენც წალენჯიხა,
სქანით ცხოვრენც, მამანტი!
ღორონთქ ძალა ვამგარკასგ,
ბჟასგ თუთა რთაფილი, —
ჭიჭე დიდ რე წალენჯიხა,
სქან რე გოლუაფირო!
წალენჯიხა ბჟა იოლ რე,
სქან დიდი შურიშ ღალა რე,
ნირს გოთანელ
მინდორის რე,
ვარდიშ ეფშა გვალა რე!
თიჯგუა ზიტყვას მა ვარშქიდა,
სქანი რჩქინა გამანდი —
ჟიროშ წანას გიცხოვრებდას
ჩქინი გენია მამანტი!

ნუგზარ შამუგია

ტიტანების ტიტანო!

ვუძღვნი იუბილარს — ბატონ მამანტი ძაძამიას

ენის კვლევა მოითხოვს
დღეს და ღამეს უძილოს...
რადგან კოლხთა ენაა
ზორღასავით უძირო...
ენის უღრმეს შრეებში
მარგალიტთა მიგნება, —
არის თქვენი კრედო და
ლაკადური ღირსება!..
განწირულა „კრიტიკა“
უბადრუკთა მხრიდანო;
ენის კვლევის საკითხში
დუდმენცარო, ტიტანო!..
ჩვენს მტრებს ახასიათებთ
სიცრუე და ტყუილი,
მაინც ხელს ვერ შეგიშლით
ფუტკარაანთ ბზუილი...
კოლხურ საოცრებათა
სიდიადის მხილველი,
უმდიდრესი ლექსიკის
აღმომჩენი პირველი!
გმადლობთ!.. მადლმაც იათა,
თქვენს ნიჭს ვეთაყვანეთა...
გვარი ძაძამიათა
გააცანით პლანეტას!..
გვსურს, კვლევის დიდ საქმეში
ლელო კვლავ გაიტანოთ, —
თქვენით ბრწყინავს აია,
ტიტანების ტიტანო!

ვალერი ძაძამია

მამანტი ძაძამიას

საახალწლო ექსპრომტი

შენს ყოველ ნაბიჯს თვალყურს
ვაწვდენდი
და მიხაროდა ნიჭის მოვარდნა;
საქვეყნო საქმის მკერდით ამწევი
რომ ხარ, — მსურს ლექსი
ტრფობით მოგართვა.
მიკვირს, ამდენი როგორ შეიძელ, —
იაკობივით სიტყვას ეომე,
და დაუბრუნე ძირძველი ფუძე
კოლხური განძის უკვდავ ფენომენს!

მელენტი ფიფია

ეპოქალური მნიშვნელობის შრომების ავტორი



მოსალოდნელი, მაგრამ დასაჯერებლად ძნელი, დიდად გულსატკენი იყო საუკეთესო მეგობრისა და სასიქადულო პიროვნების, მეგრული ენის გენეზისის გარკვევისათვის ეპოქალური მნიშვნელობის შრომების ავტორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს საპატიო პრეზიდენტის, ჯერაც შემოქმედებითი ძალებით აღსავსე მეცნიერის მამანტი ძაძამიას გარდაცვალება. სიტყვა გამიშრა და წალენჯიხას საკმაოდ დაშორებულმა, საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემებით გაწამებულმა, ვეღარც მოვახერხე მენუგეშებინა მისი ოჯახის წევრები. გამახსენდა, რომ საგულდაგულოდ გადანახული მქონდა პირადად ბატონ მამანტისთან ინტერვიუ იმ პერიოდიდან, როცა ორივენი გაზეთ „წალენჯიხის ზარების“ სარედაქციო კოლეგიის წევრები ვიყავით. ერთმანეთთან მოთათბირების შემდეგ, 1993 წლის სექტემბერში გადავწყვიტეთ, რომ ეს ინტერვიუ მომზადებულიყო გაზეთის სამომავლო ნომრებისათვის. საქართველოს მტრების, მოღალატეთა პუტჩის „სახელოვანი გმირების“ გამოისობით, მაშინ ჩანაფიქრი ვერ განვახორციელეთ და ხელთ შემრჩა ინტერვიუს ხელნაწერი, რომელიც შემდგომში უნდა დაბეჭდილიყო „ცოდვის კალო სამეგრელოში“-ს მეორე წიგნში (პირველი წიგნი დაიბეჭდა 2007 წელს). უსახსრობისა და სხვა მიზეზების გამოც, დღემდე ვერ მოხერხდა მეორე წიგნის გამოცემა და ამჯერად, შეზღუდული შესაძლებლობების პირობებში, ერთ კვირაზე მეტი მოვანდომე საკუთარ არქივში ინტერვიუს მოძიებას, რის შემდეგაც ეს მასალა შევთავაზე „ნოჯიხურის“ რედაქტორს... ვფიქრობ, ბატონი მამანტის ბიოგრაფიის მკვლევარისათვის აღნიშნული ინტერვიუ ძვირფასი შენაძენი იქნება.

დღეს სხვა რეალობაა. ქართველმა მკითხველმა უკვე იცის, რომ მამაშვილის, მამანტი და ცირა ძაძამიებისგან პირველად გაცხადდა: „მეგრული ენა ნომერ პირველი საოცრებაა დედამიწაზე“, „მეგრულ ენას, ლექსიკის სიმდიდრის მიხედვით, ახლოსაც ვერ მიუვა მსოფლიოს ვერც ერთი ენა“ და რომ: მეგრული ენა სიტყვების აღწერილობითი ხასიათისა და ლექსიკის გასაოცარ, დიახ! ფანტასტიკური სიმდიდრის წყალობით წარმოადგენს საგანთა უნივერსალური სამყაროს უნივერსალურ მოდელს“. გაცხადდა ბევრი სხვა ჭეშმარიტებაც, რაზეც მანამდე წარმოდგენაც არ გვქონდა და თვით ბატონი მამანტისათვისაც უცნობი იყო წინ რა აღმოჩენებიც ელოდა, მაგრამ მანამდე იყო საფრთხე, რომელიც მას, ეროვნულ პოზიციებზე დგომის გამო, ემუქრებოდა...

თამაზ ფიფია,
საქართველოს მეცნიერებათა
აკადემია „აიას“-ს წევრი.

სიმართლის რწმენა მატებდა ძალას

(ინტერვიუ პროფესორ მამანტი ძაძამიასთან)

— ბატონო მამანტი, თქვენ ჩვენი გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრი, აქტიური თანამშრომელი ხართ. რაიონში ჩატარებულ მიტინგებზე ხშირად გამოსულხართ, მხარი დაგიჭერიათ კანონიერების აღდგენისათვის. გვაინტერესებს როგორ გადაურჩით მხედრიონელთა „ლაშქრობას“?

— მოგეხსენებათ, მე ჟურნალისტი არა ვარ, მაგრამ ფილოლოგიისა ცოტა რამ მესმის. ალბათ ამან განაპირობა სარედაქციო კოლეგიაში ჩემი არჩევა. ეს დიდი პატივი იყო. ამიტომაც უარი არ მითქვამს, მით უმეტს, დიდი სურვილი მქონდა ჩვენს რაიონში დატრიალებული ტრაგედიის აღწერაში, შეძლებისდაგვარად მონაწილეობა მიმეღო.

მხედრიონელთა ლაშქრობას მართლაც გადავურჩი, შეიძლება ითქვას, — სასწაულებრივად! როგორც შემდგომ გავიგე, მათ ხელზე ეწერათ ჩემი გვარი და სახელი. გახელებულები დამეძებდნენ. ოთხი დღე-ღამის განმავლობაში არავინ არ მოასწავლა ჩვენი სახლი. ქალაქში თურმე ყველანი პასუხობდნენ: შორი სოფლიდან დადისო, არ ვიცით სად ცხოვრობსო. ისინიც, უპირველესად, ქალაქის ცენტრს „ასუფთავებდნენ“, ჩაემთვის ცოტა მოგვიანებით მოიცალეს, კერძოდ, მას შემდეგ, რაც ერთმა „კეთილისმყოფელმა“ სპეციალურად ამცნო მათ, რომ მე საშიში პიროვნება ვიყავი, უფრო მეტიც, თურმე მიტინგებზე ხალხს იარაღით ხელში ბრძოლისაკენ მოვუწოდებდი (ასეთი რამ არც ჩემგან წარმოთქმულა და არც სხვისგან მომისმენია), პირიქით, ხალხს მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ბრძოლისკენ მოვუწოდებდით და სწორედ იარაღით კანონიერი მთავრობის დამხობის არაკანონიერებაზე გამოვდიოდით კრიტიკულად. სხვათა შორის, იმ „კეთილისმყოფელმა“, ჩემთან ერთად, ბევრი ვინმე დაასმინა. ამდაგვარად, საკუთარი კარიერისთვის სჭირდებოდა თურმე. სიებიც წარუდგენია, თავდაპირფველად 14, შემდეგ კი 24 კაცის გვარ-სახელით, როგორც ეს მოგვიანებით გავიგე ზუგდიდელი მხედრიონელებისგან, აგრეთვე, მხედრიონელთა ქუთაისის შტაბ-ბინაში, ხოლო სიკვდილს მთელი ოჯახით (იგი 7 წევრს ითვლის) სწორედ ზუგდიდელმა ერთ-ერთმა მხედიონელმა და თვით ბატონმა ჯაბა იოსელიანმა გადაგვარჩინა.

— ეს რაღაც ზღაპარივით ჩანს, იქნებ უფრო დეტალურად მოგვიყვეთ...

— ყოველივეს სოლიდური ფორმის გაზეთი მოუნდება. მოკლედ მოგახსენებთ. ერთ-ერთი ზუგდიდელი მხედრიონელი ოჯახურად ახლობელი აღმოჩნდა ჩემი ნათესავისა, სადაც, როგორც ლტოლვილნი ვიმალებოდით. ჩემს უცოდველობაში დარწმუნებულმა თვითონ იდო თავს ბატონ ჯაბა იოსელიანთან თავდებობა. დაარწმუნა თურმე ჩემს უდანაშაულობაში. მათ საუბარს წალენჯიხის რაიონის გამგებელი, ბატონი შახი ლატარიაც ესწრებოდაო და მანაც შემაწია სიტყვა: ეს კაცი დასაღუპავი არ არის, მწერალი კაცია, მისი დაღუპვით საქართველოს ნიჭიერი კაცი დაეკარგებაო. ამ საფუძველზე დამადო ტაბუ ბატონმა ჯაბამ, როგორც შემდგომში გადმომცეს. მაგრამ, ვიდრე მორიგ თათბირამდე მხედრიონელები ამაზე გაფრთხილებას (ბრძანების შეცვლას) მიიღებდნენ, საჭირო იყო სახლის დაცვა. ესეც იმავე ზუგდიდელი მხედრიონელის ოჯახის წევრმა, კერძოდ მეუღლემ გადაწყვიტა თურმე. იგი ქმარს თანვე გაჰყოლოდა წალენჯიხაში, რათა ბატონი ჯაბას პასუხი დროზე შეეტყობინებინა ჩვენთვის (თან ახლდა ჩემი ახლო ნათესავიც). მათ მეზობლად მცხოვრები ჩემი ავადმყოფი ძმისთვისაც უნდა ეთქვათ ჩვენი მომავალი ხელშეუხლებლობის შესახებ და დაემშვიდებინათ ისიც და თურმე, სწორედ იმ დროს, ჩვენს სახლთან გამოჩნდნენ ხელყუმბარებითა და სხვა იარაღებით ხელში მხედრიონელები, რომლებსაც სურდათ სახლ-კარის გადაწვა-დაბომბვა. ის ქალი წინ აღუდგა, ვინაობის დამადასტურებლად აჩვენა მათ მხედრიონელის მედალიონი და თან აუწყა ჯაბას გადაწყვეტილება. ავის მზრახველნი მაინც გაუძალიანდნენ, ავტომატის ერთ-ორ ჯერს მაინც ვუთავაზებთო. ჩვენი ოჯახის მფარველმა ქალმა არ დაანება ამ სურვილის ასრულებაც. — ლამის ხელჩართული ბრძოლაც გაუმართა: წადით, ჰკითხეთ ჯაბასო და ა.შ. და ... გადაგვარჩინა.

ჩემი ავადმყოფი ძმა და მის მოსანახულებლად ჩუმად მისული რამდენიმე ახლობელი ამას შორიდან ხედავდნენ თურმე და გაოცებულნი იყვნენ უცნობი ქალის ასეთი თავგამოდებით, რამაც სასურველი შედეგიც გამოიღო.

— თქვენი საუბრის მიხედვით გამოდის, რომ გცოდნიათ კიდეც იმ „კეთილისმყოფელის“ ვინაობა, ვინც თქვენ და სხვებიც დაასმინა. როგორ შეიტყვეთ ეს და რა აზრისა ხართ მასზე?.. ხვდებით თუ არა იმ კაცს წალენჯიხაში?

— ზუგდიდელი მხედრიონელის მონაყოლით, (ის დასმენას შეესწრო, მაგრამ იმ კაცს ჩემი გვარი მაშინ არ უხსენებია, უკვე ჰქონდა თურმე ნახსენები და ჩაწერილიც ვიყავი სიაში), პიროვნების აღწერისა და ნიშნების მიხედვით ჩემთვის ცხადი გახდა ვინც უნდა ყოფილიყო. სხვათა შორის, მაშინ შემომთავაზეს კიდეც, რომ იმ კაცის ცალ, თუ ვისურვებდი ორივე ყურს მომიტანდნენ ზუგდიდში, ნიშნად იმისა, რომ ასეთ ვიგინდარებსა და მოღალატეებს ჩვენც ვერ ვიტანთო. ცხადია, მე კატეგორიული უარი ვუთხარი.

მხედრიონელები წალენჯიხიდან რომ წავიდნენ, ჩვენც დავუბრუნდით გაძარცვულ-გაძვალტყავებულ სახლს. მეუღლემ არ დაიჯერა და იმ ჩვენი გადამრჩენელი ზუგდიდელი მხედრიონელის სახელით გამოცხადდა მხედრიონელთა ქუთაისის შტაბ-ბინაში. ხსენებული „კეთილისმყოფელის“ სახელი და გვარიც იქ აუწყეს მას ჩვენი სახლის უშუალო „დამსუფთავებლებმა“. ვინმე, ზედმეტსახელად „ბაბუამ“, პირდაპირ უთხრა მოსულთ: თქვენ ალბათ იმ ოჯახიდან ხართ, სადაც მეგრული ენის შესახებ დაწერილი წიგნები ეწყო, მისი ავტორი თქვენი მეუღლე იქნება... იგი მხოლოდ ამისთვისაც იყო საკადრისად დასასჯელი! თუმცა მისი ნაბადი კარგად მოგვერგო... ავტომანქანა კი არ ვიცით სად არის, ახლა ვის ეკუთვნისო... თუ შევძელით მოგიძებნითო, თუო... მეორემ 70 ათას მანეთად დააფასა ავტომანქანის დაბრუნება და ... ბოლოს ასე განაცხადა თურმე: რომ არა ეს და ეს კაცი (დაასახელა გვარიც, სახელიც და თანამდებობაც), ჩვენ საიდან ვიცოდით, ქალო, ვინ იყო მამანტი ძაძამია და სხვები... და ა.შ.

სხვათა და სხვათა თანხლებით ბოლოს მეც ჩავედი მხედრიონელთა ქუთაისურ შტაბ-ბინაში. მანქანაზე ცივი უარი გვტკიცეს, (სხვა ნივთებზე საუბარი არც იყო, თუმცა სახლი ხომ პირწმინდად გაგვიქურდეს მაშინ და ჩვენივე მანქანებით წაიღეს ნაქურდალი, დაწყებული დანა-ჩანგლებით, ბავშვების ტანსაცმლებითა და თეთრეულით დამთავრებული) ავტომანქანის შესახებ ცინიკურად ღადაობდნენ: ჩვენი ბოლო მონაცემებით უღელტეხილზეა დატოვებული, ალბათ გაფუჭდაო, მაგრამ შევეცდებით დავძებნოთ და ჩვენ თვითონ შეგატყობინებთო. ისემც მტერმა გაიხაროს“

ნასესხები ერთი ათასი მანეთიც ზედ მივახარჯე: რატომღაც თბილისში უფრო დავიგულე (ვინმე ცალხელნაკლული (ხეკულე), გია ჩაჩიბაიად სახელმონათლული და თბილისელად წოდებული დააჯირითებდა თურმე ჩემს კუთვნილ ავტომანქანას წალენჯიხაში მხედრიონელთა ყოფნის პერიოდში). ამაოდ ვძებნე... ერთხელაც მტკვისპირად მიმავალმა უნებლიედ გავიაზრე: ახლა ჩემი მანქანა და მისი გამტაცებელი ერთად რომ დავინახო და შესაძლებელი იყოს თითის წაკვით, თუნდაც ნატვრით, მდინარეში ერთიანად გადაგდება, რას ვიზამ-მეთქი. შევცბი, ეს რა გავიფიქრე. ის კაციც (თუმცა კაცობისა მას რა გააჩნია) ხომ დედის შვილია, აკვანში ნალოლიავები... შემრცხვა საკუთარი ჩანაფიქრისა და ფიქრითაც ვერ შევძელი გამეტება. ჩემს ბავშვებს კი ყოველდღე, ყოველგვარ ამინდში, სკოლამდე და შინ 12 კილომეტრი მანძილის გავლა უწევთ... ოჯახის წევრები დასაწყევლად მაინც ვერ ვიმეტებთ იმ ჩვენს გამძარცველთა და თვით იმ „კეთილისმყოფელსაც“... ბევრმა წალენჯიხელმა იცის მის შესახებ ... არ ვიცი როგორ ხვდებიან სხვები, მე კი საერთოდ თავს არ მახვედრებს — არ გვქონია ასეთი შემთხვევა. ოდესმე, როცა შემხვდება, მზერას თუ გამისწორებს, ეს მაინტერესებს...

სხვათა შორის, მინდა აღვნიშნო ქუთაისელ მხედრიონელთა შტაბ-ბინაში ცალხელა ახალგაზრდის (ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებ, — ხელი კი, როგორც თვითონ განაცხადა, ფოთისთვის ბრძოლებში დავკარგეო) თავაზიან შეხვედრაზეც (ცხადია, სხვებისაგან განსხვავებით), მოსახლეობის გაძარცვის გამო გულისტკივილის გამოხატვაზეც, „მეგრულის შესახებ რაღაც წიგნების ავტორის მიმართ ლანძღვის გამო სხვათა მაგივრად ბოდიშის მოხდაზეც, ავტომანქანის დაბრუნებაზე დახმარევის დაპირებაზეც და ა.შ. (გულწრფელობა მის სინდისზე იყოს!).

→ 12

11 ←

— იმ „მეგრული რაღაცის“ გამოცემით თქვენ, დიდი, შეიძლება ითქვას, საშვილიშვილო საქმე გააკეთეთ. როგორც ვიცით, ამ მიმართულებით მუშაობას აგრძელებთ... რა მიზნები გაქვთ მომავალში?

— „მეგრული დიალექტის“ სახელწოდებით ორ წიგნად გამოცემული ნაშრომი, მოგეხსენებათ, ქართველური ენების, კერძოდ მეგრულ-ჭანური ენის მეგრული დიალექტის შესწავლის მიზანს ემსახურება, ცხადია, საერთო ქართულთან მიმართებაში. მესამე წიგნისათვის მასალები უკვე მზად მაქვს, ვფიქრობ, კიდევ ორი წიგნის მასალა მოვამზადო. ამით ძირითადად ამოიწურება ჩანაფიქრი და ხუთივე წიგნი იქნება საფუძველი მეგრულის გრამატიკის შედგენა-გამოცემისათვის, რაც ამ მიმართულებით, ჩვენს საბოლოო მიზანს შეადგენს. ყოველივე ეს საფუძველი იქნება მეგრულ-ქართული ლექსიკონისაც, რაზეც ამჟამად ყველაზე ინტენსიურად ვმუშაობ...

მოგეხსენებათ, ქართულის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული 114 ათას ლექსიკურ ერთეულს, ხოლო რუსულის ასეთივე ლექსიკონის 20 ტომი 120 ათას ლექსიკურ ერთეულს მოიცავს. მეგრულის სალექსიკონო მასალა კი, რაც ძირითადად უკვე შედგენილი გვაქვს, ბევრად მეტ ლექსიკურ ერთეულს გვპირდება.

ცალკეული ენების ლექსიკონებზე, ჩვეულებრივ ნამუშევარია მეცნიერ-სპეციალისტთა დიდი ჯგუფები, რაც ყოველთვის იყო დაკავშირებული, როგორც ადგილზე არსებულ ცოცხალ მეტყველებასთან, ისე თაობათა მიერ შექმნილ წერილობით (ხელნაწერ, ბეჭდურ და სხვა) წყაროებთან, მათ შორის საარქივო მასალებთან და ა.შ. ცხადია, ეს საქმიანობა კოლოსალურ შრომასთან იყო და არის ხოლმე დაკავშირებული, მაგრამ იგი მაინც შედარებით ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ, თვით ასეთი წყაროების უხვად არსებობის გამო. მეგრული დიალექტის ლექსიკონზე მუშაობისას, ცხადია, ამას მოკლებული ვართ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ცალკეულ მეგრულ ტექსტებს (ალ. ცაგარელი, მ. ხუბუა, ი. ყიფშიძე და სხვა). განსაკუთრებით დიდია ი. ყიფშიძის მცირე მოცულობის ლექსიკონის მნიშვნელობა, მით უფრო, სიტყვათა ძირების მოხმობის გათვალისწინებით.

ლექსიკონზე მუშაობისას, ყველაფრის გათვალისწინებით, შევიმუშავე ლექსიკური ერთეულების დაძებნის საკუთარი ხერხი: წინ მხოლოდ ანბანთრიგი მიძევს, რომლის მიხედვითაც (ასევე ანბანთწყობის რიგით) ვპოულობ რა ლექსიკურ ერთეულებს, ვამწკრივებ ქაღალდზე. ასე რომ, ლექსიკური ერთეულების დაძებნა-ჩამოყალიბება ერთდროულად სრულდება.

— მარტოკაცი როგორ ეჭიდებით ესოდენ დიდ საქმეს?! როგორ გგონიათ, რამდენ ხანში უზრუნველყოფთ მიზნის მიღწევას? ან კი არ გაგიჭირდათ ასეთი საქმიანობა იმდენად, რამდენადაც თქვენ სულ სხვა დარგის, უფრო სწორად, სულ სხვა დარგების სპეციალისტი ბრძანდებით?

— სპეციალობით აგრონომი ვარ... თავის დროზე აგროქიმიაში საკანდიდატო დონეზე შეფასებული ნაშრომიც გამაჩნდა. დღეს ასევეა შეფასებული ჩემი ნაშრომები ისტორიაეთნოგრაფიაში, თუმცა, უსახსრობის გამო, მათი გამოცემა დღემდე ვერ შევძელი... ასევე მზად მაქვს საკანდიდატო დისერტაცია სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში. საკანდიდატოზე მაღალი დონის ნაშრომად აფასებენ სპეციალისტები ენათმეცნიერების დარგში გამოცემულ ორ წიგნსაც...

— ვიდრე წინა შეკითხვაზე პასუხს დაამთავრებდეთ, აქვე უნდა გკითხოთ: რატომ არ დაიცავით ერთ-ერთში მაინც დისერტაცია?

— საამისოდ დროს მოვუფრთხილდი, თუმცა რომ არა ბოლოდროინდელი სიტუაცია რესპუბლიკაში, ერთ-ერთში, კერძოდ, ეკონომიკის მეცნიერებაში ბედი დაცდილი მექნებოდა. მაგრამ ეს არ მწყინს, ცხადია, მწყინს მხოლოდ არსებული მდგომარეობა, რამაც დამანახა, რომ დისერტაციის დაცვა სულაც არ არის საშური. უფრო საჭირო სხვა რამეა, მით უმეტეს, ახლა, დღევანდელ სიტუაციაში.

ბევრჯერ დაიწერა და ითქვა მავან „ქართველთა“ მიერ სამეგრელოს მრავალგზის დალაშქვრისას დაგუგუნებულ სიმღერის: „ქართლ-კახეთი, იმერეთი“... შესახებ და სხვა რამეზეც... დიახ, სამწუხაროდ, არიან თურმე ქართველთა მოდგმის რიგი ადამიანებისა, რომელთაც მეგრელები ქართველებად, ხოლო სამეგრელო საქართველოდ არ მიაჩნიათ...

მაგრამ რა ვუყოთ ქართულ სიტყვას, მეგრულ სიტყვას, მათი ფუძეძირების ერთიანობას, საერთო წარმომავლობას, მკვიდრობას, და-ძმობას; ისტორიული თვალსაზრისით თუ გავიაზრებთ: გინდა ბიძაშვილ-მამიდაშვილობას და ა.შ.

სად იკითხება იგი ყველაზე კარგად, ყველაზე მეტად? — სწორედ მეგრულ-ქართულ ლექსიკონში! ამიტომაც არის მისი გამოცემა საჩქაროც, საშურიც და აუცილებელიც!

ასევე საჩქარო და საშურია მეგრულ-ჭანურ-სვანურ-ქართული ლექსიკონის გამოცემაც! მეგრულ-ქართულის ჩვენ მიერ შედგენილი ლექსიკონიც მნიშვნელოვან საფუძველს შექმნის ჩვენი საერთო წარმომავლობის დასადასტურებლად. ჩვენი საბოლოო მიზანი ასეთი ლექსიკონის გამოცემაც არის. სწორედ ასეთი ლექსიკონი, უწინარეს ყოვლისა, არ მისცემს ენის მობრუნების საშუალებას გარეშე თუ შინაურ მტერს, უფრო მეტიც, გააზრების საშუალებასაც კი, ქართველური ტომების არასაერთო წარმომავლობაზე, არაერთიანობაზე. ჩვენ, მეგრელები, სამეგრელო მუდამ ვუმტკიცებდით, ვუმტკიცებთ და დავუმტკიცებთ ყველას ჩვენს ნაღდ ქართველობას. ვისაც ეს არ სჯერა, ან არ სურს დაიჯეროს, თუ საჭირო გახდა, დავეჩოქებით და ისე შევთხოვთ დაიჯეროს, გვიგულოს სისხლად და ხორცად, ძმად და მეგობრად. საამისოდ დაჩოქებისა, თუ ეს საქმეს შველის, ჩვენ არ შეგვრცხვება, მაგრამ ვერ დავიჩქოებთ უსამართლობის, უკანონობის, შინაურული აღა-მაჰმადხანების წინაშე, რადგანაც მათ წინაშე დაჩოქება ქართველობაზე უარის თქმა, საკუთარი თავის, სრულიად საქართველოს უარყოფაა, საკუთარი ნებით დაღუპვაა და სხვა არაფერი. ვერ იზამს ამას მეგრელი კაცი, ნაღდი ქართველი კაცი!

— ჭეშმარიტად სწორი ბრძანდებით, ბატონო მამანტი. ღმერთმა გვისმინოს! საბოლოოდ როდის ვიხილავთ მეგრულ-ქართულ ლექსიკონს?

— ეს კითხვა სხვა კონტექსტით უკვე დასმული იყო. პასუხს შეგნებულად თავი ავარიდეთ. ლექსიკონი მრავალტომეული იქნება, ჩემის მხრივ, ყოველ სამ თვეში შემიძლია თითო ტომის მასალა ჩავაბარო გამომცემლობას, მაგრამ სად?! ან რა საშულებით?! სადღეისოდ უკვე ადრე გამოცემული ორი წიგნისათვის აღებული ვალები, კერძოდ, სახელმწიფო სესხი გაორმაგებულია, ვერაფრით ვიხდი, შეტყობინებაც მივიღე ბანკიდან: პროკურატურასა და სახალხო სასამართლოს გადავეცითო საქმე. ჩემი და მრავალ სხვათა ოჯახების გაძარცვა-გაქურდვის საქმე კი არავის გადაუცია ამ ორგანოებისათვის, არც არავის გამოუკვლევია იგი (რაში გვარგია, ან ვინ არის განმკითხავი), სესხისათვის კი ლამის დამნაშავედ გამოგვიყვანონ. ვნახოთ, რა სასჯელსაც გამომიტანენ. სახლში, სახელმწიფოსავე წარმომადგენლებმა, სახელმწიფოს სახელითვე არაფერი დაგვიტოვეს საკონფისკაციოდ. ჩვენივე სახლიდან თუ გაგვყრიან, ლტოლვილები შემოასახლონ მაინც. ჩვენ და ჩვენს ბავშვებს კი, ასეთ შემთხვევაში ასევე ლტოლვილებს, სხვაგან მიგვიჩინონ ბინა. იზამენ ალბათ ასე, „კანონიერი“ მთავრობის მეკანონენი!

1993 წ.

მინაწერი: როცა ეს ინტერვიუ მომზადდა, ბატონი მამანტი ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის პროფესორი და „მეგრული დიალექტის“ ორტომეულის გარდა, მრავალი ლინგვისტურ-ენათმეცნიერული, გახმაურებული შრომის ავტორი იყო, ხოლო შემდეგ კი, რაც მან, შერყეული ჯანმრთელობის მიუხედავად, აღთქმული პირობისამებრ აღასრულა, სწორედაც შემოქმედებითი გმირობაა! მაგრამ, ისევ 90-იან წლებს დავუბრუნდეთ: საქართველოს განსაკუთრებული ძნელბედონის ჟამს, წალენჯიხელებს უთუოდ კარგად ახსოვთ, რომ მამანტი ძაძამია ერთ-ერთი იმათთაგანი იყო, ვინც უშიშრად, შემართებულად თანაუგრძნობდა ეროვნულ მოძრაობას, ხალხის ჭეშმარიტი ნებით არჩეულ ხელისუფალს, საქართველოს პირველ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას. უკანონო, მოძალადე ხელისუფლების პირობებში, ყოველივე ეს მართლაც ძალიან სახიფათო იყო, მაგრამ ღირსეულ პატრიოტს სიმართლის რწმენა მატებდა ძალას. სიმართლისადმი ერთგულების გამო გამოსცადა მან და მისი ოჯახის ყველა წევრმა დევნა, ძარცვა და ყოველმხრივი შევიწროება, რის შესახებაც ძალზე მოკლედ მოგვითხრო ინტერვიუერთან დიალოგში.

ინტერვიუს უძღვებოდა

თამაზ ფიფია.

ტკივილიანი მოგონება

ქალბატონ გაგული (ნათელა) ჩახაიას მაღალი სული სათნოებით იყო გასხივოსნებული, ის ყველას უყვარდა, რამეთუ სიყვარულს ოჯახის, სანათესაოს, ახლობლებისა თუ მეგობრების მიმართ უშურველად გასცემდა...

მართალია, ბოლო თვეებში ავადმყოფობდა, მაგრამ მისი გარდაცვალება ჩემთვის მაინც მოულოდნელი იყო და ძალიან მატკინა გული.

იყო უბრალო, გულკეთილი ქალბატონი, რომელსაც მეუღლე — ბოჩო ჭითანავა 64 წლის ასაკში გარდაეცვალა და რომელსაც, როგორც ხშირად მსმენია, ამ ქვეყანაზე კაცური კაცის ქუდი ეხურა!.. ცალუღელად დარჩენილ ქალბატონს ოჯახის მთელი სიმძიმე მხრებზე დააწვა. მიუხედავად ყველაფრისა, ქალბატონმა გაგულიმ ეს ტვირთი, ცხოვრების ნარეკლიან გზაზე, ღირსეულად ატარა. მან მეუღლესთან ერთად სამშობლოს შესანიშნავი ქალ-ვაჟი — ნონა და ელდარი აღუზარდა. ორივენი გამორჩეულნი არიან პატიოსნებით, სიალალით, კაცთმოყვარეობითა და უბრალოებით...

გული გვწყდება, რომ მის სახელს უკვე წარსულში მოვიხსენიებთ, მაგრამ გვწამს, ის ეროვნული ტრადიციები, რაც მან მეუღლესთან ერთად თავის საყვარელ ოჯახში დაამკვიდრა, არ დაიკარგება და მათი კარგი შვილები ამ ტრადიციებს ღირსეულად გააგრძელებენ!..

ტკივილს გვიმსუბუქებს წარმოდგენა იმისა, რომ ქალბატონი გაგული ისეთივე კეთილი და მადლიანი იქნება ზეციურ საუფლოში, როგორიც ამ ქვეყნად იყო. იმედია, თავის მეუღლესთან ერთად მწედ და მფარველად მოევლინება თავის ოჯახს, თავის შვილებს, სანათესაოს...

მაღალმა ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს ქალბატონ გაგულის კეთილი სული. ამინ!..

ვალერი ძაძამია

რედაქტორი: ვალერი ძაძამია